ქალთა ჩართულობის კვლევა

გია გოთუა, ქეთევან სართანია

თბილისი
2020

კვლევა ჩატარდა 2020 წლის აპრილ-ივნისში ფონდი **პური მსოფლიოსთვის** მიერ მხარდაჭერილი **მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის** პროეტის „ადგილობრივი თემი და ხელისუფლება განვითარებისთვის“ ფარგლებში

გია გოთუა

ქალთა ჩართულობა თემის განვითარებაში – გამოცდილება და პრობლემები საქართველოს ოთხ რეგიონში

შესავალი

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს თემის განვითარება. ამ მიმართულებით მუშაობას განაგრძობენ როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. ამ მუშაობასთან მიმართებით, ექსპერტები აღნიშნავენ როგორც წარმატებებს, ისე გარკვეულ პრობლემებს (ლოსაბერიძე, 2012).

ერთ-ერთი პრობლემა, რომელზეც თემის მობილიზატორები საუბრობენ, არის თემის განვითარების პროექტებში ქალების არასაკმარისი ჩართულობა. ირიბად, ეს დაკვირვება დასტურდება კვლევებით, რომელშიც სოფლად მცხოვრები ქალების სახელმწიფო პროგრამებში ჩართულობაზეა საუბარი. ერთ-ერთი ასეთი კვლევის თანახმად, ქალთა ჩართულობა ამ პროექტებში რიცხობრივად დაბალ დონეზე დგას, ისინი ძირითადად მცირე მასშტაბის პროექტებში არიან წარმოდგენილნი; ასევე, ქალთა აქტიურობასთან დაკავშირებით, სოფელში გარკვეული უარყოფითი განწყობა არსებობს ("საფარი", 2017).

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი რეგიონალურ პარტნიორებთან ერთად, ახორციელებს სოფლად თემის განვითარების პროექტებს. მუშაობის გამოცდილებამ ორგანიზაციას უბიძგა დაინტერესებულიყო სათემო განვითარების პროექტებში ქალთა არასაკმარისი ჩართულობის მიზეზებით. ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომლის მონაწილეები გახდნენ 4 რეგიონში გენდერის საკითხებზე მომუშავე პირები და სოფლად მცხოვრები ქალები.

კვლევამ გამოავლინა ჩართულობის ხელშემშლელი ფაქტორების ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფს შეადგენენ ეკონომიკური ფაქტორები, ისეთები როგორც სიღარიბე, ფულადი შემოსავლის ნაკლებობა, მატერიალური დამოკიდებულება კაცებზე. მატერიალური რესურსების ნაკლებობა აიძულებს ქალებს მეტი დრო და ენერგია ჩადონ ყოველდღიური ამოცანების შესრულებაში. შედეგად, მათ აღარ რჩბათ თემის პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღების საშუალება. ასევე, სიღარიბის პირობებში, პრიორიტეტული ხდება საბაზისო, მთლიანად თემისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და ნაკლები პრიორიტეტი ენიჭება ქალებისთვის სპეციფიურ პრობლემებს.

ფაქტორთა მეორე ჯგუფს შეადგენენ კულტურული ფაქტორები. ნაწილობრივ, ეს ეხება წარმოდგენას "ქალის საქმის" შესახებ, ოჯახური შრომის იმ წილის შესახებ რომელიც ეხება მხოლოდ ქალს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ოჯახის შიგნით შრომის უფრო თანასწორი განაწილება, ქალთა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობაზე დადებით გავლენას მოახდენდა. ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოდგენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე როგორც, "კაცების საქმეზე". ზოგიერთ შემთხვევაში, სათემო საქმეებით დაკავებულ ქალს ეჭვის თვალით უყურებენ, ხოლო მათ შეხედულებებს ამ საკითხების გარშემო, კაცების შეხედულებებთან შედარებით, იგივე ღირებულება არ გააჩნია.

ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენა არათანაბრად არის განაწილებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ერთი და იგივე რეგიონის შიგნით. ინტერვიუებიდან ჩანს, სოფლად მცხოვრებ ოჯახებში მიმდინარეობს ბრძოლა ტრადიციული გენდერული როლების შენარჩუნებისთვის. ტრა-

დიციული როლების შენარჩუნებას საფრთხეს უქმნის ფულად შემოსავალზე დამოკიდებულების ზრდა. ერთის მხრივ, ფულის შოვნის საჭიროება უბიძგებს მამაკაცებს რომ შიდა მეურნეობის საქმეების უფრო დიდი წილი გადააბარონ ქალებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის ქალების მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას. მეორეს მხრივ, იზრდება იმის შესაძლებლობა რომ სწორად ქალები გახდებიან ფულადი შემოსავლის შემომტანები, რასაც ასევე შეიძლება მოყვეს არსებული გენდერული როლების გადასინჯვა.

ამ ბრძოლის შედეგს, ნაწილობრივ, განსაზღვრავს ოჯახის შიგნით და თემში არსებული კაპიტალის განაწილება. საუბარი, ამ შემთხვევაში, არის ტერმინის ფართო მნიშვნელობაზე, რომელშიც მოიაზრება როგორც ეკონომიკურ, ისე კულტურული (მაღალი ღირებულების მქონე ცოდნა) და სოციალური (სასარგებლო კავშირები) კაპიტალი (Bourdieu,1986). იქ, სადაც ქალებს საკმაო კაპიტალი გააჩნიათ, აღწევენ სათემო ცხოვრებაში მეტ ჩართულობას. შესაბამისად, სათემო განვითარების პროცესში მათი მონაწილეობის გასაზრდელად, საჭიროა მათ ხელში არსებული საერთო კაპიტალის გაზრდა. სწორედ ამ ამოცანის შესრულებაში მოიაზრებენ კვლევაში ჩართული ქალები მოკავშირეებად არასამთავრობო ორგანიზაციებს.

მეთოდოლოგია

თვისებრივი კვლევა ჩატარდა საქართველოს 4 რეგიონში: აჭარა, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი. სულ ჩატარდა 71 სიღრმისეული და ერთობლივი ინტერვიუ, მათ შორის 20 აჭარაში, 12 შიდა ქართლში, 13 ქვემო ქართლში და 26 სამცხე – ჯავახეთში. კვლევაში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, გამგეობასთან არსებული ქალთა ოთახების თანამშრომლები და სოფლებში მცხოვრები, სოფლის მეურნეობით დაკავებული ქალები. ეთნიკურად შერეულ რეგიონებში, გამოკითხულთა შორის იყვნენ ორივე ძირითადი ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. ინტერვიუერების როლში, კვლევაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ეპიდემიის გავრცელების გამო ზოგიერთი ინტერვიუ ჩატარდა ტელეფონის მეშვეობით. ამან, ბევრ შემთხვევაში, ჩატარებული ინტერვიუს ხარისხზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ამ შემთხვევებში, ინტერვიუერები დასმულ კითხვებზე იღებდნენ ერთმნიშვნელოვან, მოკლე პასუხებს. ასევე, ზოგიერთ შემთხვევებში, ინტერვიუს ესწრებოდნენ კაცები, რამაც ასევე მონაწილეთა გულწრფელობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. ზოგ შემთხვევაში, გაურკვეველი დარჩა, წარმოადგენდა თუ არა ტრანსკრიპტში დაფიქსირებული პასუხი საუბრის სიტყვა სიტყვით გაშიფრულ ვერსიას თუ ეს იყო პასუხების გარკვეული შეჯამება. ზოგიერთმა ინტერვიუერმა საკმაოდ მაღალ პროფესიულ დონეზე გაართვა თავის ამოცანას. თუმცა, კვლევამ ასევე აჩვენა რომ რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების ზოგიერთ წარმომადგენელს ჭირდება ამ სფეროში კვალიფიკაციის ამაღლება.

კვლევის დასკვნით ეტაპზე, ანგარიშის ავტორმა მოახდინა ტრანსკრიპტების თემატური ანალიზი. ასევე, დამუშავდა ლიტერატურა, რომელშიც, პრობლემასთან მიმართებით, სხვა ქვეყნების/საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება არის აღწერილი. ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე მოხდა რამდენიმე შეთავაზების ფორმულირება. ასევე, შეთავაზებულ იქნა გარკვეული თეორიული ჩარჩო, რომლის გამოყენებაც მკვლევარებს და პრაქტიკოსებს პრობლემის ანალიზში და ადექვატური ინტერვენციის დაგეგმვაში დაეხმარება.

აჭარა

ქალთა ჩართულობის პრობლემა – სამი ინტერპრეტაცია

ინტერვიუებში იკვეთება ქალთა ჩართულობის საკითხის სამი ინტერპრეტაცია. პირველი ინტერპრეტაციის თანახმად, გენდერული თანასწორობა აჭარის რეგიონში შედარებით მწვავე პრობლე-

მას წარმოადგენს. ეს პრობლემა გამოკვეთილი ფორმით დგას ტრადიციული ღირებულებებით დატვირთულ თემებში. ამ ინტერპრეტაციის თანახმად, პრობლემის გამოვლინებებია: ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი დონე, ადრეული ქორწინების ფენომენი და ქალების კაცებზე ეკონომიკური დამოკიდებულება. კვლევის მონაწილეები მიუთითებენ, რომ სწორედ ტრადიციული კულტურა არის ამ პრობლემის მიზეზი. ინტერვიუერები ქალთა ჩართულობის პრობლემურ მხარედ ტრადიციულ, სტერეოტიპულ შეხედულებებს ასახელებენ. მოცემულ სოციოკულტურულ გარემოში ქალის მიერ პრობლემის დასმაც არაერთგვაროვნად ფასდება. ქალთა ჩართულობასთან დაკავშირებით ქალთა შორისაც არ არსებობს ერთიანი პოზიცია.

„არიან ასაკიანი ქალები, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ ვინ გვეკითხება, ან რა ქალის საქმეა მაგ საკითხის მოგვარება. ძირითადად ეს მენტალიტეტის გამოა.“

პრობლემის დაძლევის გზებზე საუბრის დროს, მთავარი როლი ენიჭება საგანმანათლებლო აქტიურ მოღვაწეობას, როგორც ტრადიციული მენტალიტეტის ცვლილების საშუალებას.

მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, ქალთა საზგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა მისასალმებელი არ არის. ქალთა გაძლიერებაზე საუბრის დროს აქცენტი უფრო კეთდება მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე. საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა, ამ ინტერპრეტაციის თანახმად, რჩევების მიცემის და ქალების მხრიდან უნიკალური ცოდნის კაცებისთვის გაზიარებით უნდა შემოიფარგლოს. ქალების საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა გარკვეულ სირცხვილთანაც კი არის დაკავშირებული.

„მე მერიდება, დღეში 5-ჯერ რომ ვიარო გამგეობაში. ჩემი მორალურ--ზნეობრივი საქციელი არ მაძლევს ამის უფლებას. ჩემი ენით რომ აგიხსნათ, მაქვს მორიდება, რომ ყველა დღე ვიარო გამგეობასთან. ცუდი რამე რომ არ გვაკადროს ვინმემ“.

ქალთა ჩართულობას უარყოფითად მიიჩნევენ არა მარტო მამაკაცების დიდი ნაწილი, არამედ ასაკოვანი ქალებიც.

მესამე ინტერპრეტაცია უფრო ნიუანსურ ხასიათს ატარებს. ერთდროულად ხდება ტრადიციული ღირებულებების და ქალთა უფრო მაღალი ჩართულობის საჭიროების აღიარება. თუკი სხვა ინტერპრეტაციებში, საზღვარი საჯარო და კერძო სივრცეებს შორის მეტ-ნაკლებად ხისტად არის გავლებული, ამ ინტერპრეტაციით აღნიშნული საზღვარი უფრო მოქნილია და შესაძლებელს ხდის “ტრადიციული” და “მოდერნული” ღირებილებების კომბინირების მცდელობებს.

ქალთა ჩართულობა – მაგალითები და პრობლემები

კვლევის მონაწილეები ჩართულობის პრობლემას ხშირად უკავშირებენ ქალთა დასაქმების პრობლემას. მათი თქმით, უმუშევრობა (სამუშაოში, სავარაუდოდ, იგულისხმება ფულადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა) ქალების არათანასწორი სტატუსის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია. ოჯახის ფულადი შემოსავლის უფრო დიდი წილი მამაკაცებზე მოდის. ასევე, საზოგადოების მხრიდან უფრო აღიქმება “კაცური” შრომის წილი სათემო საქმეებში.

“მამაკაცი რომ გააკეთებს, იმას ქალი ვერც ერთ დროში ვერ იზამს“ (ქალი რესპოდენტი)

„ქალები საერთოდ არ ვერთვებით პრობლემების მოგვარებაში. სოფელში არ არის საინიციატივო ჯგუფი, სადაც ქალები იქნება ჩართული. აქ ძირითადად ქალები, სახლის საქმეებს ვაგვარებთ, თუ ვმუშაობთ ისევ სკოლაში, ბავშებთან. სოფლის პრობლემები კი კაცებმა მოაგვაროს. ჩვენს მაგის დრო ნამდვილად არ გვაქვს“.

განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემა ძალადობის მსხვერპლი ქალების შემთხვევაში. რესპოდენტის აზრით, ეს პრობლემა საკმაოდ გავრცელებულია რეგიონში. ძალადობის მსხვერპლ ქალს, როგორც წესი, შემოსავლის არქონის გამო უწევს მოძალადის ოჯახში დარჩენა.

„ძირითადად მათზე ძალადობენ ქმრები, ძმები და მამები. ქალთა ოთახს ამ შემთხვევაში არ მიმართავენ, ჩვენ მხოლოდ ფსიქოლოგიურ დახმარებას ვუწევთ, ვთქვათ, როცა სურთ საკუთარის ამბავის გაზიარება, აზრის გაცვლა. ფიზიკურად ვერაფერს შევძლებთ. ჩვენ რა ვურჩიოთ? ოჯახიდან წამოვიდეს და სად წავიდეს? მთავარი პრობლემაა ეკონომიკური მდგომარეობა“.

ქალები ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრულ ჩართულობის ფორმებში, კერძოდ სოფლის კრებებში მონაწილეობენ. თუმცა, სოფლის საერთო კრებაზე მათი დასწრების საკითხს და შესაბამისად, აქტიობაში ჩართულობის ხარისხს კაცები განსაზღვრავენ. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „ქალების დაპატიჟება უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს“. ხშირად მათ სიტყვით გამოსვლის უფლებას მხოლოდ კრების ბოლოსკენ აძლევენ, როდესაც უკვე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ქალსა და კაცს შორის კამათის შემთხვევაში, როგორც წესი, იმარჯვებს კაცის აზრი.

კითხვაზე, თუ რატომ არ იჩენენ ქალები საკითხის დასმის ინიციატივას, რესპოდენტები ძირითადად ორი გარემოებით ხსნიან: 1. გენდერული როლების შესახებ წარმოდგენა -კაცების მოვალეობაა არსებული პრობლემების მოგვარება. 2. ქალებს არ აქვთ პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ცოდნა.

პრობლემას წარმოადგენს საერთო შეკრებების ქალებისთვის არახელსაყრელ დროს დანიშვნა. აღწერილი ვითარების გამო ხშირ შემთხვევაში ქალები საკუთარ სოციალურ აქტივობას დროის დაკარგვად და სიმულაციად მიიჩნევენ.

„ქალებს ეპატიჟებიან ამ შეხვედრებზე, თუმცა ისინი არ მოდიან, როცა ვკითხე, თუ რატომ არ მოდიან, მპასუხობს თითქმის ყველა ესე: „რა აზრი აქვს ჩვენს მოსვლას“, „ჩვენ მაინც არავინ არ მოგვისმენს“. „საბოლოო ჯამში, ისე იქნება როგორ კაცები გადაწყვეტენ“. სოფლის კრებებზე მაქსიმუმ 2-3 ქალი ესწრება. რადგან თანასწორობა არ არის დაცული, ისინი არ აქტიურობენ“.

არასამთავრობო ორგანიზაციები და გამგეობასთან არსებული ქალთა ოთახები ატარებენ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, მათ შორის ტრენინგებს, ფილმების ჩვენებებს და “წარმატებული” ქალების მაგალითების გაცნობის მიზნით მოწყობილ აქტივობებს. გენდერის თემაზე მომუშავე პირის თმით, ხშირად ქალები, მათ შორის “აქტიური” ქალები, არ მოდიან ღონისძიებაზე და ამას კონკრეტული შედეგის მოლოდინის არქონით ხსნიან. ასევე კვლევის მონაწილე ქალთა ნაწილი აღნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების და ქალთა ოთახების საქმიანობის შესახებ მხოლოდ გაუგიათ და არანაირი შეხება მათთან არ ქონიათ.

ქალები ხშირად არ აქტიურობენ და პესიმისტურად უყურებენ საკუთარი ხედვის გატანის შესაძლებლობას. პრობლემა არა მხოლოდ კაცების დომინირებაა, არამედ თემის შიგნით არსებული უთანასწორობა. რესპოდენტის თქმით „თემში ყოველთვის არის ორი სამი კაცი რომლის ხედვასაც პირველ რიგში ყველა ითვალისწინებს“. სოფლის მოსახლეობაში არსებობს აზრთა განსხვავება პრიორიტეტულ პრობლემებთან დაკავშირებით. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული განსხვავებები უარყოფით გავლენას ახდენენ ქალთა მონაწილეობაზე და საერთო ინტერესების მქონე ჯგუფად ჩამოყალიბებაზე. ტრენინგების დროს ქალების და კაცების მიერ დასახელებული სოფლის პრობლემების სია ხშირად განსხვავებულია.

ქალთა ჩართულობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება გვხვდება არამხოლოდ გენდერზე მომუშავე პირებს შორის. კვლევაში მონაწილე, სოფლად მცხოვრები, ქალების ნაწილი ასევე ამტკიცებდა რომ ქალებს თავისი ცოდნით და განსხვავებული ხედვებით შეუძლიათ მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა და შესაბამისად, აუცილებელია მათი საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტად ჩართვა. რამდენიმე რესპოდენტმა გამოთქვა პრეტენზია, რომ ხშრად არასამთავრობო ორგანიზაციები ტრენინგებსა თუ სხვა აქტივობებზე მხოლოდ მამაკაცებს იწვევენ. ითხოვენ მიწვევას, მათთვის ხელსაყრელი დროისა და ადგილის შერჩევას.

არსებობს ქალთა საინიციატივო ჯგუფების შექმნის გამოცდილებაც. ასეთი ჯგუფი შეიქმნა შუახევში ჰესების მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით. კვლევის მონაწილის

თქმით, ჯგუფის საქმიანობა დიდად შედეგიანი არ იყო, თუმცა მან ხელი შეუწყო "ქალების გააქტიურებას". ასევე ზოგიერთ თემში, ქალები ლიდერულ პოზიციაზე არიან წარმოდგენილნი, რასაც კვლევის მონაწილის თქმით „გამორჩეულად დადებითი შედეგი მოაქვს თემის განვითარებისთვის".

კვლევის მონაწილეებს ქალთა საზოგადოებრივ საქმეებში ჩართვის უფრო პოზიტიური მაგალითებიც მოჰყავთ. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში, ქალთა საინიციატივო ჯგუფმა მოახერხა საბავშვო ბაღის პრობლემის მოგვარება. სახელდება ასევე შემთხვევა, რომელშიც ქალებმა, თემის შეკრებაზე, უმრავლესობით შეძლეს მათთვის სასურველი გადაწყვეტილების გატანა.

თითქმის ყველა სოფელში იკვეთება აქტიური ქალების ჯგუფი. როგორც წესი, ესენი არიან პედაგოგები ან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდა ქალები.

,,საკმაოდ არიან ახალგაზრდები(მშობლები), რომლებიც აქტიურად დადიან სკოლაში, ერთვებიან სხვადასხვა აქტივობებში. მათ არ ზღუდავენ ქმრები ამ საკითხში, თუნდაც ქმარი ხოჯა იყოს."

პრობლემის დასმის, აქტიურობის გამოცდილება დაუგროვდათ იმ ქალებს, რომლებსაც სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, მათი აქტიურობა და თემის მხრიდან ამ აქტიურობის მიმღებლობა განათლებისა და ცოდნის პრესტიჟს უკავშირდება.

კვლევის მონაწილე ზოგიერთი ქალი აცხადებს, რომ საერთო პრობლემების მოგვარება "ქალის საქმე არ არის" და მათ "სახლში ისედაც ბევრი საქმე აქვთ". ასეთი ხედვა მათთვის ერთდროულად ნორმაც არის და "რეალობაც". ქალების როლს ისინი კაცების დახმარებაში და მათთვის ინფორმაციის ან რჩევების გაზიარებაში ხედავენ.

,,ყველას ოჯახში ჰყავს უფროსი, რომელიც საუბრობს კრებაზე და ოჯახის წევრი ქალი უნდა დაეთანხმოს".

ასეთი ქალები აცხადებენ, რომ კაცებს მათი აზრის მიღების და განხილვის პრობლემა არ აქვთ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ხშირად იგივე ქალები საუბრობენ ტრენინგების და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საჭიროებაზე. სავარაუდოდ, ამით ისინი გამოხატავენ სიახლეების მიმართ პრინციპული წინააღმდეგობის უქონლობას და ამ სიახლეებს ახალი კაპიტალის შეძენის შესაძლებლობად განიხილავენ.

როგორც კვლევის მონაწილეების ნათქვამიდან ჩანს, ქალები უფრო აქტიურად ეკონომიკურ სფეროში არიან ჩართულები, ან უნდათ ჩართვა. როგორც ინტერვიუებიდან ჩანს, ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის უფრო მისაღებია ქალთა ეკონომიკური კუთხით გააქტიურება ვიდრე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში გააქტიურება.

პრობლემის დაძლევის შესაძლო გზები

პრობლემის დაძლევის გზებთან დაკავშირებით გამოითქმება რამდენიმე მოსაზრება. ყველაზე ხშირად სახელდება საგანმანათლებლო ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები და საინფორმაციო/საგანმანათლებლო მასალის გავრცელება. ხელი უნდა შეეწყოს მენტალიტეტის ცვლას, რაც მთიანი აჭარის შემთხვევაში სახელდება როგორც მთავარი პრობლემა. კვლევის მონაწილეების თქმით, „აქტიურობით სწორედ განათლებული ქალები გამოირჩევიან."

ყველა სამიზნე სოფელში გამოიკვეთა აქტიურ ქალთა ჯგუფი, რომელთაც სურთ ადგილობრივი განვითარების პროცესებში მონაწილეობა. საჭიროა ამ ჯგუფებისთვის უნარების და ცოდნის გადაცემა, ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის შექმნა და მიზნობრივი სოციალური კავშირების დამყარება.

ცალკე აღნიშნავენ პროფესიული განათლების სისტემის გაძლიერების საჭიროებას. კვლევის მონაწილის თქმით, ახალგაზრდა ქალები ხშირად უსახსრობის, ან ადრეული ქორწინების გამო,

ვერ ახერხებენ განათლების მიღებას, რაც ასევე თანასწორობის მიღწევაში მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, მათთვის დამოუკიდებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობის შექმნას, დასაქმების ან ბიზნესის დაწყების ხელშეწყობის გზით. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. ადგილზე ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების/ფონდების მიერ დაფინანსებული ბევრი ბიზნეს პროექტი, რომელთაც სათავეში უდგანან ქალები. თუმცა, ეს ნაბიჯები მონაწილემ შეაფასა როგორც "არასაკმარისი". ქალები ასევე აქტიურობენ ოჯახური სასტუმროების გახსნის მიმართულებით. ბევრმა რესპოდენტმა ქალმა გამოთქვა კონკრეტული ბიზნესის დაწყების სურვილი.

კვლევის მონაწილეთა აზრით, ქალების ჩართულობის გაზრდას ხელი უნდა შეუწყოს ხელისუფლებამაც. უნდა წაახალისოს ქალთა მონაწილეობა საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ საქმიანობაში.

ქალთა პრობლემების მოგვარების აუცილებელ წინაპირობას მათი ავტონომიური სივრცეების არსებობა წარმოადგენს. ქალები ძირითადად კერძო სივრცეებში ხვდებიან ერთმანეთს (სამეზობლო ურთიერთობა) ან სხვა საოჯახო საქმეების მოგვარების პროცესში (მაგალითად წყლის მოტანა, საქონლის გარეკვა დილით). ამ შეხვედრების დროს განიხილება სოფლის საერთო პრობლემებიც. თუმცა, სოფელში გადაწყვეტილების მიღებაზე იშვიათად ახდენენ გავლენას. სხვა ქალი მონაწილეები ამბობენ, რომ შეხვედრებზე მხოლოდ კერძო ხასიათის პრობლემები განიხილება.

რეკომენდაციები

აჭარაში ჩატარებული კვლევის მონაწილეების მიერ დასახელებული პრობლემები ბევრი თვალსაზრისით მსგავსია, ხოლო ბევრი თვალსაზრისით განსხვავდება საქართველოს სხვა რეგიონებში ჩატარებული კვლევების მონაწილეების დასახელებული პრობლემებისაგან. აქვე შეიძლება ითქვას, რომ გენდერულ თანასწორობაზე და შესაბამისად ჩართულობაზე ტრადიციული კულტურის გავლენის შესახებ არსებული თეზისი მოითხოვს მეტ კრიტიკულ განხილვას, რომელშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ისტორიკოსებმა და ეთნოგრაფებმა. განხილვა უნდა ფოკუსირდეს ადგილობრივი კულტურის თავისებურებებზე და მონაწილეებმა, შეძლებისდაგვარად, თავი უნდა აარიდონ როგორც ადგილობრივი ტრადიციების იდეალიზაციას, ასევე „მოდერნისტული" მითების შექმნას ან გაძლიერებას.

წარმოდგენილი პრობლემის ორ ინტერპრეტაციაში, შედარებით საგრძნობია ზღვარი კერძო და საჯარო სივრცეს შორის. ტრადიციონალისტური ინტერპრეტაცია მხარს უჭერს ქალის კერძო სივრცეში ჩაკეტვას, ხოლო „ლიბერალური "ინტერპრეტაცია პრობლემად სახავს ქალის საჯარო სივრცეში ნაკლებ აქტიურობას. ალტერნატიული, ფემინისტური მიდგომა, კერძოსა და საჯარო სივრცეს შორის ზღვრების შესუსტებას და გადააზრებას გულისხმობს. მაგალითად, მეტი საუბარია საჭირო იმ შენატანზე, რომელსაც ქალები აკეთებენ ან შეუძლიათ რომ გააკეთონ როგორც ოჯახის, ისე თემის კეთილდღეობაში.

სოფლად მცხოვრები ქალი რესპოდენტების ნაწილი, შედარებით მკვეთრ ზღვარს ავლებს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი როლის გაზრდას შორის. საჭიროა ამ მიმართულებით გენდერული აქტივისტების მუშაობის გააქტიურება და ახსნა, თუ როგორ მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩართულობის ეს ორი ასპექტი.

ინტერვიუებიდან ჩანს, თუ რამდენად დიდი პრესტიჟით სარგებლობს ადგილობრივ თემებში ცოდნა და განათლება. შესაძლებელია ადგილობრივი კულტურის ამ ასპექტის გამოყენება ქალთა ჩართულობის გაზრდისთვის.

სამცხე – ჯავახეთი

ჩართულობის პრობლემის ორი ინტერპრეტაცია

სამცხე – ჯავახეთში ჩატარებულ ინტერვიუებში ქალთა ჩართულობის პრობლემის ორი ინტერ-პრეტაცია არის წარმოდგენილი. პირველის თანახმად ქალები სათემო ცხოვრებაში არ ერთვე-ბიან მენტალიტეტის გამო. ეს ძირითადათ კონსერვატული პოზიციაა, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილებები ოჯახსა და თემშიც უნდა მიიღონ კაცებმა. თუმცა, ამ პოზიციის მომხრეები გარკვეულ დონეზე აღიარებენ ქალის მეტად ჩართვის საჭიროებს, განსაკუთრებით მათი ეკო-ნომიკური გაძლიერების კუთხით.
მეორე პოზიციის თანახმად, მენტალიტეტი ჯერ კიდევ წარმოადგენს გარკვეულ პრობლემას. თუმცა, განსაკუთრებით აქტიური ქალების შემთხვევაში, სათემო საქმეებში ჩართულობისთვის აღარ წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს. ქალთა ჩართულობისთვის ხელშემშლელი ფაქ-ტორები ჯერ კიდევ არსებობს, თუმცა ეს ფაქტორები უფრო კერძო სივრცეში უნდა ვეძიოთ (ოჯახური ძალადობა, ეკონომიკური პრობლემები).

ქალთა ჩართულობა – პრობლემები და გამოცდილება

კვლევის მონაწილე ზოგიერთი ქალი მხოლოდ თემის საერთო პრობლემებზე საუბარობს და არ ახსენებს ქალების სპეციფიურ პრობლემებს. ეს პრობლემებია ფულადი შემოსავლის ნაკლებო-ბა და გაუმართავი ინფრასტრუქტურა (წყალი, გაზი). ამ პრობლემის მოგვარება, მათი აზრით, კაცების და ხელისუფლების საქმეა.

კვლევის მონაწილე სხვა ქალები მათთვის მნიშვნელოვან, სპეციფიურ, პრობლემად ასახელებენ მძიმე შრომას. მათი თქმით, ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა კაცების სეზონური მიგრა-ციის გამო. გენდერულ საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით:

„სამუშაოების შესრულების შემდეგ რა თქმა უნდა მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც უჩნდებათ. ადგილზე არ არის სოფლის ამბულატორია რომ საჭიროების შემთხ-ვევაში მიმართოს.“

ზოგიერთ სოფელში არსებული წყლის მომარაგების პრობლემები მძიმედ აისახება ქალების ყოფაზე. ასევე, რამდენიმე ქალმა ისაუბრა საბავშვო ბაღების და ზოგადად, საბავშვო სივრცე-ების ნაკლებობის შესახებ. ცალკე პრობლემას წარმოადგენს ოჯახური ძალადობა, რომელიც, მონაწილეების თქმით, საკმაოდ გავრცელებულია, თუმცა იშვიათად იქცევა საზოგადოების ან ხელისუფლების განსჯის საგნად.

კვლევაში მონაწილე კაცები ქალთა ჩართულობის ხელშემშლელ ფაქტორად ასევე ასახელებენ მენტალობას და დროის არქონას. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ ქალი არც უნდა ჩაერთოს თემის საერთო პრობლემების მოგვარებაში. კვლევის მონაწილე, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ასე აღწერს ამ პრობლემას:

„ქალები, რომლებსაც უნდოდათ ყოფილიყო, ვთქვათ გზა მოხრეშილი, ყოფილიყო მოსაცდელი და ბავშვები ბაღში როცა მიყავთ, ასე ვთქვათ, ადგილი სადაც წვიმას მოეფარებოდნენ, თოვლს და რაღაცას. იცით რა, უჭირდათ ამის დაფიქსირება, იმიტომ რომ, ვეკითხებოდი, რატო არ თქვით ჩემთან რო ლაპარაკობთ ამას, რატო არ დააფიქსირეთ თქო, და მერეო ის ეტყოდაო ჩემს ... ბევრი ილაპარაკა შენმა ცოლმაო. მერე უკმაყოფილება გვექნებოდაო სახლშიო.“

განსხვავებული აზრის ქონის ან უთანხმოების შემთხვევაში, ქალებს არა აქვთ იმის იმედი რომ მოუსმენენ ან მათ შეხედულებებს გაითვალისწინებენ. გენდერულ საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ადგილობრივის თქმით:

„იმიტომ, რომ ფიქრობენ რომ (აქტიურობა) ქალისთვის მისაღები არ არის. ეს მათი საქმე არაა, და რომც იყოს, ამის უფლებას მამაკაცები არ მისცემენ. მამაკაცები დომინირებენ”.

გამოცდილების არქონის გამო, ქალები ხშირად ერიდებიან სათემო პრობლემებზე საუბარს. მნიშვნელოვან პრობლემად სახელდება ფინანსური დამოკიდებულება კაცებზე.

ქალების პასიური პოზიცია სათემო საქმეების მოგვარების მიმართ აისახება სოფლის კრებებზე. ზოგიერთ სოფლებში ქალები საერთოდ არ ესწრებიან კრებებს, ზოგიერთში უმცირესობის სახით არიან წარმოდგენილნი. ამასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი აღნიშნავს: "შეიძლება მათი სათქმელი ოჯახის წევრის ან ახლობლის მეშვეობით გამოიხატებოდეს შეკრებებზე."

ზოგიერთი ქალი დადებითად არის განწყობილი ქალთა მეტი ჩართულობის მიმართ. ამ ქალებიდან ერთ-ერთის თქმით, ბევრი პრობლემა სოფელში უფრო მშვიდად მოგვარდებოდა ქალთა ჩართულობის შემთხვევაში. მეორე მონაწილეს აზრით კი, ქალების მონაწილეობა უფრო გააღრმავებს პრობლემების განხილვას, ვინაიდან კაცები ხშირად კონფლიქტებს ზედმეტად არიდებენ თავს და ამით აზარალებენ საქმეს.

ინტერვიუების მიხედვით, სათემო აქტიურობაში ქალების უფრო მაღალი ჩართულობა ქართულენოვან სოფლებში ფიქსირდება. ქალები ესწრებიან სოფლის კრებებს, აქტიურად გამოთქვამენ საკუთარ აზრს და ერთვებიან ინიციატივის განხორციელებაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევიან ახალგაზრდა ქალები.

კვლევის მონაწილე რამდენიმე ქალს აქვს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილეობის გამოცდილება. ზოგიერთ ქალს კი არა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გამოცდილება და მხოლოდ გაუგია მათი არსებობის შესახებ.

კვლევის ბევრი მონაწილე მიესალმება არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შესაძლებლობას. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, უნდა: "დაიგეგმოს ისეთი აქტივობები სადაც გამოვლინდება მათი შესაძლებლობები და დაინახავენ საკუთარი ჩართულობის აუცილებლობას".

არასამთავრობოების საქმიანობის შესაძლო ფორმებზე საუბრისას, ყველაზე ხშირად ასახელებენ ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ტრეინინგებს. ასევე, ქალთა საჭიროებების გამოსავლენად, ისინი საჭიროდ მიიჩნევენ ფოკუს ჯგუფების და ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარებას.

ასეთ ღონისძიებებში, კვლევის მონაწილეთა თქმით, პირველ რიგში ჩაერთვებიან აქტიური ქალები, რომელთა შორის ასახელებენ მასწავლებლებს და ახალგაზრდებს. სკოლა, როგორც მნიშვნელოვანი სოციალური სივრცე ქალი მასწავლებლებისთვის და დედებისთვის, შეიძლება ამ ინტერვენციებისთვის იყოს გამოყენებული.

ზოგიერთი რესპოდენტის თანახმად სკეპტიკური დამოკიდებულება არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის მიმართ საკმაოდ გავრცელებულია. ადგილობრივები „თვლიან რომ ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავს და არა სოფელზე". ერთ-ერთი ქალის თქმით, ბევრ ქალს ქმარი არც გაუშვებს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოწყობილ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად.

რეკომენდაციები

რეგიონში გავრცელებულია უარყოფითი დამოკიდებულება ქალთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის და ეკომიკური გაძლიერების მიმართ. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქტიური შრომითი მიგრაციის ფონზე, ოჯახებში ხდება ტრადიციული როლების რღვევა. ამაზე პასუხად, კაცები და ქალები კიდევ უფრო ეჭიდებიან ამ როლებს და უნდობლობას უცხადებენ ნებისმიერ სიახლეს. ამ სიტუაციაში, არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე დგას ქალებისთვის სანდო მოკავშირის სახელის მოპოვების რთული ამოცანა. შესაძლოა, ამ ეტაპზე უკეთესია ქალებთან თანამშრომლობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემების გარშემო წარიმართოს, ისეთების როგორიცაა ჯანმრთელობა, ბავშვების მოვლა და მატერიალური უზრუნველყოფა. ასეთმა

თანამშრომლობამ, სავარაუდოდ, უნდა შექმნას მომავალში ადგილობრივი ქალების და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის მყარი საფუძველი.

სოფლებში, როლებშიც ქალთა მონაწილეობის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება არ არსებობს, შესაძლებელია უფრო გრძელვადიან ინიციატივებზე მუშაობა. სასურველია ადგილებზე მოხდეს ქალების სტაბილური ჯგუფების ფორმირება. ეს ჯგუფები დაამუშავებენ და განახორციელებენ გარკვეულ პროექტებს, რაშიც მიიღებენ არასამთავრობო სექტორის დახმარებას. ბიძგი ამ თანამშრომლებას შეიძლება მისცეს ერთჯერადმა პროექტმა, რომელიც ადგილობრივი ქალების აქტიური მონაწილეობით იქნება განხორციელებული. პროექტის მიზანი იქნება არა მხოლოდ კონკრეტული სიახლის შემოტანა, არამედ ახალი პრობლემების გამოვლენაც. პროექტის განსახორციელებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის, ან მონაწილეობითი კვლევის რომელიმე სხვა მეთოდოლოგია.

შიდა ქართლი

ქალთა ჩართულობის პრობლემა – ორი ინტერპრეტაცია

შიდა ქართლში ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა ქალთა ჩართულობის პრობლემის ორი ინტერპრეტაცია. პირველი ინტერპრეტაციის თანახმად, რეგიონის სოფლებში ქალებს იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც კაცებს. ამ პრობლემებს შორის პირველ ადგილზე დგას ფინანსური შემოსავლის არქონა. ქალები აქტიურად არიან ჩაბმულნი ამ პრობლემის განხილვაში და მოგვარებაში. ქალების ჩართულობა პრობლემების განხილვაში ხან პირდაპირი (მაგალითად, სოფლის კრებაში მონაწილეობა), ხან არაპირდაპირი ფორმით (პრობლემების სახლში განხილვა და კაცების "დაკვალიანება") მიმდინარეობს.

მეორე ინტერპრეტაციის თანახმად, რეგიონში მცხოვრები ქალები საკმაოდ აქტიურად არიან ჩართულები როგორც თემის, ისე მათთვის სპეციფიური პრობლემების მოგვარებაში. ისინი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის კრებებში და ზოგიერთ შემთხვევაში კაცებზე უფრო აქტიურებიც არიან. ქალები ასევე აქტიურად თანამშრომლობენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც ადგილობრივი ქალების მნიშვნელოვანი მოკავშირეები და ლობისტები არიან.

ქალთა ჩართულობა – მაგალითები და პრობლემები

კვლევის მონაწილე ქალთა ნაწილი ქალებისთვის სპეციფიური პრობლემების დასახელებისგან თავს იკავებს და სოფლის საერთო პრობლემებზე ლაპარაკს არჩევს. როგორც წესი, ისინი აღნიშნავენ, რომ ქალებს და კაცებს ერთი და იგივე პრობლემები გააჩნიათ და თემის ორივე ნაწილი ამ პრობლემის მოგვარებაში აქტიურ როლს თამაშობს.

ამავე დროს, ხშირად აღინიშნება, რომ ზოგიერთი პრობლემა უფრო მძიმე ტვირთად ქალებს აწვება ვიდრე კაცებს. ასეთი პრობლემა არის მაგალითად სასმელი წყლის სახლში არქონა, რის გამოც ქალებს წყლის მოტანა გარკვეული მანძილიდან უწევთ. როგორც კვლევის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს:

„ქალის შრომა უფრო დაუფასებელიც არის, იღებ მოსავალს და რეალიზაციას ვერ აკეთებ, მოიყვან მოსავალს რო გაიზარდოს მცენარე და მერე წყალი არაა რო მორწყო. ასე, რომ სულ ქალის პრობლემებია ყველაფერი".

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ზოგ შემთხვევაში, საერთო პრობლემებზე საუბრისას კაცებზე მეტად აქტიურობენ ქალები. კერძოდ, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებზე მეტს ლაპარაკობენ ქალები. თუმცა, ამ შეხვედრებზე, კვლევის სხვა მონაწილის თანახმად, ქალები არ სვამენ მათთვის სპეციფიურ სა-

კითხებს და იმავე პრობლემებზე საუბრობენ, რაზეც კაცები (წყალი, გზები). დამოკიდებულება საკითხისადმი კარგად ჩანს შემდეგ ციტატაში:

„ვფიქრობ, რომ არანაკლები შეუძლია ქალების ჩართულობამ გააკეთოს პრობლემის მოგვარებაში, არაფრით ნაკლები ვიდრე მამაკაცების ჩართულობამ, ყველა საკითხში, ჩემი აზრით“.

კვლევის სხვა მონაწილე, ასახელებს შემთხვევებს, რომელშიც ქალები სოფლის კრებაზე კაცებისგან განსხვავებულ საკითხებს აყენებდნენ. ზოგ შემთხვევაში, ისინი ამ საკითხების მოგვარებასაც აღწევენ. დასმულ საკითხად ერთ-ერთ სოფელში იყო სათემო ცენტრის შექმნა. შედეგად, მუნიციპალიტეტის დახმარებით დაიწყო ამ საკითხზე მუშაობა.

მსგავს შემთხვევებთან დაკავშირებით, გენდერის საკითხებზე მომუშავე ერთ-ერთი ადგილობრივი, აღნიშნავს:

„მე შემიძლია გითხრათ, რომ შეიძლება კიდე ამ გადაწყვეტილების უკან ოჯახში მოლაპარაკებული გადაწყვეტილება იდგეს და იქ ვინ მიიღო რეალურად გადაწყვეტილება და იქ განხილვა როგორ მიდიოდა და ა.შ. ცხადია მე მაგაზე პასუხი არ მექნება“.

კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, ქალების აქტიურობა სოფელში სათემო ცხოვრების აქტიურობასთან და სოფლის მოსახლეობის შედარებით მაღალ შესაძლებლობებთან არის კორელაციაში. თუმცა, მისივე თქმით, უფრო აქტიურ და ნაკლებად აქტიურ დასახლებებშიც, პრობლემას მიგრაციის შედეგად აქტიური ადამიანების გადინება წარმოადგენს.

იმავე პრობლემის არსებობას აღნიშნავს ერთ-ერთი რესპოდენტიც. მისი თქმით, სოფელი, რომელშიც ის ცხოვრობს, არ გამოირჩევა მოსახლეობის აქტიურობით. ძირითადი პრობლემა სოფელში არის უმუშევრობა. ამ პრობლემის გადაწყვეტა, მისი თქმით, ხელისუფლების და ბიზნესის საქმეა.

სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი ქალის თქმით, ახალგაზრდა ქალები აქტიურად ერთვებიან სოფლის საერთო პრობლემის მოგვარებაში. ქალების აქტიურობის მიზეზად მან დაასახელა კაცების დასაქმებულობა და შესაბამისად, დროის არქონა.

სხვა რესპოდენტის თქმითაც, ქალები კაცებთან შედარებით უფრო აქტიურად არიან ჩართულები ყოველდღიური პრობლემების მოგვარებაში, ისეთების როგორიცაა მაგალითად მოსავლის დაბინავება და გასაღება. მისივე თქმით, სოფელში მცხოვრები აქტიური ქალები აპირებენ მათთვის მწვავე პრობლემის მოსაგვარებლად ორგანიზებული ნაბიჯების გადადგმას. ამ საქმეში მათ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის და ხელისუფლებასთან შუამავლობის იმედი აქვთ.

რესპოდენტის თქმით, მნიშვნელოვან პრობლემას რეგიონში ქალების გააქტიურების მხრივ, წარმოადგენს კონსერვატული წარმოდგენები. საუბარია, წარმოდგენაზე “ქალის საქმის” შესახებ – ქალმა, პირველ რიგში, “მისი საქმე” უნდა გააკეთოს; შედეგად, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობისთვის ქალებს დრო არ რჩებათ.

ზოგიერთ მონაწილეს არასამთავრობო ორგანიზაციის საქმინობასთან შეხების გარკვეული გამოცდილება. ეს იყო ძირითადად რომელიმე საგანმანათლებლო აქტიობაში მონაწილეობა, ან სხვა თანასოფლელებთან ერთად გარკვეული დახმარების მიღება. ამ ადამიანების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასება იყო დადებითი. მათთვის ეს თანამშრომლობა როგორც კონკრეტულ შედეგთან, ისე სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობასთან არის ასოცირებული.

კვლევის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციაში მომუშავე ქალბატონის თქმით, მისი ორგანიზაცია ძირითადად ხელისუფლებასა და ადგილობრივ ქალებს შორის შუამავლის როლის შესრულებით არის დაკავებული. ორგანიზაცია ხელისუფლებამდე ქალების პრობლემების მიტანის ფუნქციას ასრულებს. ამ მიზნით ისინი ფოკუს ჯგუფებს და შეხვედრებს ატარებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალებთან.

არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც შუამავლების ფუნქციის შესრულების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ასევე გენდერულ საკითხებზე მომუშავე სხვა ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი:

„არასამთავრობო ორგანიზაციას უფრო მეტი თავისუფლება აქვს, უფრო მეტი უნარი და (skills) ეს რო ვთქვათ, უფრო მეტი აქვს რო ლობირებაც გაუწიოს…….იმიტომ, რომ მოგეხსენებათ რესურსები ყოველთვის არის შეზღუდული, საჭიროა პრიორიტეტების განსაზღვრა და ამ პრიორიტეტების განსაზღვრაში ხალხის ხმას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს“.

კვლევის მონაწილეები სამოქალაქო განათლების, მათ შორის გენდერული კუთხით, სოფლებში "შეტანის" საჭიროებაზე საუბრობენ:

„თვითონ უნდა იცოდნენ, აი, ორგანიზებულად, როგორ მოხდეს ამა თუ იმ საკითხის დაყენება გნებავთ თვითმმართველობაში და გნებავთ მმართველობაში და ამის ამ პრობლემებზე ფოკუსირება და ჩართვა როგორც თავიანთი მხრიდან ისე მმართველობის და თვითმმართველობის და ერთობლივად ამა თუ იმ პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობა“.

კვლევაში მონაწილე გენდერული აქტივისტი აღნიშნავს რეგიონში რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საგანმანათლებლო კამპანიის საჭიროებას.

კვლევის სხვა მონაწილეები საუბრობენ ქალთა პროექტების დაფინანსების საჭიროებაზე. მათი თქმით, ქალთა ასეთ ინიციატივებში ჩართვას შედეგად მოყვება არა მხოლოდ ინფორმაციის ან სხვა კონკრეტული სიკეთის მიღება. მისი თქმით, გენდერული განათლება ქალებს მეტ თავდაჯერებულობას ძენს.

კვლევაში მონაწილე ერთ-ერთი ქალის თქმით, ყოველდღიური პრობლემების განხილვა ერთმანეთთან სტუმრობის დროს ხდება. სოფელს ქონდა კლუბი, სადაც მიმდინარეობდა სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვები. პრობლემების განხილვა ასევე ყოველდღიური საერთო შრომის ნაწილია.

რეკომენდაციები

ქვემო ქართლში ჩატარებულ ინტერვიუებში კარგად არის გამოკვეთილი კერძო სივრცეების, როგორც ქალთა პრობლემების განხილვის ადგილი. მოსალოდნელია, რომ საჯარო და კერძო სივრცეებში გამოთქმული შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. ამ პირობებში ძნელია ქალების ხედვების და პრობლემების გაგება კერძო სივრცეში მათ მიერ ნათქვამის გაგების გარეშე. საურველია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების ინსტრუმენტებს შეემატოს ეთნოგრაფიული და არარეაქტიული მეთოდები, ისეთები როგორც კრიტიკული ეთნოგრაფია, დღიურები და სხვა.

ამავე დროს, თვალშისაცემია შეხვედრებისთვის და პრობლემების განხილვისთვის საჭირო საჯარო სივრცეების არარსებობა. სოფლის მოსახლეობისთვის ამ მიმართულებით დახმარების გაწევა შესაძლებელია გახდეს არასამათავრობო ორგანიზაციების მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

კვლევაში მონაწილე ქალების ნაწილი ერთგვარ თავდაცვით პოზიციაში დგება ინტერვიუერის მიმართ და უარყოფს სოფლებში ქალებისთვის სპეციფიური პრობლემების არსებობას. საჭიროა ახსნა, რომ ქალთა საერთო პრობლემების მოგვარებაში მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება, არამედ პირიქით, მეტად უსვამს ხაზს ქალების, როგორც ჯგუფის, განსხვავებული ინტერესების არსებობას.

ქვემო ქართლი

ქალთა ჩართულობა – პრობლემის ინტერპრეტაცია

ქვემო ქართლში ჩატარებულ ინტერვიუებში ქალთა ჩართულობა პირველ რიგში განხილულია როგორც ეკონომიკური პრობლემა. ამ პერსპექტივის თანახმად, ქალთა საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურობის გაზრდას წინ უნდა უძღოდეს მათი ეკონომიკური გაძლიერება. ზედმეტი სამუშაოსგან თავისუფალი ქალი მეტად მოახერხებს სათემო განვითარების პროცესში ჩართვას და უკეთესადაც დაეხმარება სხვა ქალებს, საკუთარ ოჯახს და მთლიანობაში თემს.

ქვემო ქართლში ჩატარებულ ინტერვიუებში მეტი აქცენტი კეთდება ქალის სათემო საქმეებში ჩართულობის პოზიტიურ აღქმაზე. ეს დამოკიდებულება ნაწილობრივ ეკონომიკურ პრობლემებსაც უკავშირდება. შრომითი მიგრაციის გამო, დასახლებები განიცდიან სათემო საქმეებში ჩართული აქტიური ადამიანების დეფიციტს, შედეგად ქალების ჩართულობა უფრო მისასალმებელი ხდება. ასევე, კვლევის მონაწილეები ხაზს უსვამენ ამ კუთხით ქართულ და აზერბაიჯანულ დასახლებებში არსებულ განსახვავებულ სიტუაციას. მათი თქმით, აზერბაიჯანულ სოფლებთან შედარებით, ტრადიციული კულტურა ქართულ დასახლებებში ბევრად უფრო ნაკლებად უშლის ქალების სათემო ცხოვრებაში ჩართვას. შესაძლოა, "აქტიური" ქალი ადგილობრივი ქართული ეთნიკური კულტურის ერთ-ერთ მარკერადაც კი გამოიყენებოდეს.

ქალთა ჩართულობა – პრობლემები და გამოცდილება

კვლევის მონაწილეთა თქმით, სიღარიბე არის პირველი ხელისშემშლელი ქალების გააქტიურებაში. სოფლად მცხოვრები ქალების მთელი დრო და ძალისხმევა მატერიალური პრობლემების მოგვარებაზე მიდის. „იმისათვის, რომ ქალები გახდნენ ძლიერები და გაიზარდოს მათი ჩართულობა ისინი უნდა გაძლიერდნენ ეკონომიურად, თუ ქალი ეკონომიკურად სუსტია ვერ შეძლებს თემში საკუთარი როლის ამაღლებას" – ასე აჯამებს ამ აზრს კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, სამოქალაქო აქტივისტი. სიღარიბის გამო აქტიურ ქალებს ხშირად უწევთ რეგიონის დატოვება.

ქალების ყოფაზე ასევე მძიმედ აისახება ინფრასტრუქტურული პრობლემები, მათ შორის სასმელი და სარწყავი წყლის ნაკლებობა, შიდა გზების და ტრანსპორტის მოუწესრიგებლობა, ბავშვების გასასეირნებლად საჭირო სკვერების არარსებობა და საბავშო ბაღების ნაკლებობა. ზოგიერთი სოფლის შემთხვევაში, მამაკაცების სამუშაოდ გასვლის გამო, ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების ტვირთი აწვება ქალებს. ქალების რაიმე სახის აქტივობაში ჩართვისთვის, საბავშო ბაღების დეფიციტი ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პრობლემას წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საჯარო სივრცეების, მაგალითად სათემო ცენტრების ნაკლებობა.

ბევრი პრობლემა განათლების სფეროსთან არის დაკავშირებული. ხშირად, ახალგაზრდა ქალებს არ აქვთ პროფესიული ან უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, რეგიონში შესაბამისი სასწავლებლების ან/და სახსრების უქონლობის გამო. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის თქმით:

„განათლების დაბალი დონე ჯაჭვურ რექციაშია სხვა სოციალურ მოვლენებთან. ქალებს არ აქვთ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, ისინი ვერ ახდენენ საკუთარი თავის რეალიზებას სოციუმში. ეთნიკურ უმცირესობებში ქალების უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა, ხშირ შემთხვევაში ისინი ხდებიან ნაადრევი ქორწინების და ძალადობის მსხვერპლნიც".

ასევე, უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ, ქალები ვერ პოულობენ შესაბამის სამუშაო ადგილს და უწევთ რეგიონის დატოვება ან ამ კუთხით რეალიზებაზე უარის თქმა.

კვლევის მონაწილეთა თქმით, ქალები აქტიურად მონაწილეობენ სათემო ცხოვრებაში. ისინი ესწრებიან და სიტყვით გამოდიან სოფლის საერთო კრებებზე, ერთვებიან მოხალისეობრივ საქმიანობაში და საპროტესტო აქციებს აორგანიზებენ. კვლევის მონაწილეთა თქმით, ქალთა ასეთი

აქტიურობა უფრო ქართულენოვან სოფლებისთვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით იმ სოფლებისთვის, რომლებშიც მამაკაცების დიდი ნაწილი სამუშაოდ არის წასული.

თუმცა, კვლევის სხვა მონაწილეები ეთნიკურად ქართულ დასახლებებიდან, პრობლემებად ასახელებენ ქალთა ნაკლებ აქტიურობას და მათ კერძო სივრცეში გამოკეტვას. კვლევის მონაწილე ასე აღწერს ამ დამოკიდებულებას:

"ვფიქრობ, ბიძგი ჭირდებათ. ბევრი ეჭვით უყურებს ყველაფერს, ფიქრობენ რომ არ გამოვა და აზრი არ აქვს გარეთ დგომას და ლაპარაკს".

სხვა რესპოდენტის თქმით, ადგილობრივები საზოგადოებრივ საქმეებში აქტიურ ქალებს ხშირად გარკვეული ეჭვითაც უყურებენ.

ქალების აქტიურ ჩართულობას ასევე ხელს უშლის საზოგადოებაში გავრცელებული გარკვეული პესიმიზმი. ეს განწყობა იმ ქალებზეც აისახება, რომლებიც წარსულში რაიმე სახის საზოგადოებრივი აქტიურობით იყვნენ დაკავებულნი. ზოგჯერ, ისინი ვერ ახერხებენ რაიმე პროექტის განხორციელების შედეგად წარმოქმნილი მუხტის შენარჩუნებას და უბრუნდებიან ოჯახურ საქმიანობას. ასევე, ხელშემშლელ ფაქტორებად სახელდება ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიცაა თავდაჯერებულობის არქონა და არასრულფასოვნების კომპლექსი.

კვლევაში მონაწილე თითქმის ყველა ქალი დადებითად უყურებს ქალების სათემო განვითარებაში მონაწილეობის პერსპექტივას. ისინი ფიქრობენ, რომ მონაწილეობა, როგორც მთლიანად თემისთვის, ისე ქალებისთვის იქნება სასარგებლო:

„ვფიქრობ, ქალი უფრო მეტად ილტვის წინ და შეუძლია კაცზე მეტს მიაღწიოს".

კვლევის სხვა მონაწილის თქმით, ქალების ჩართულობის ყოველი ახალი მაგალითი სხვა ქალებსაც უბიძგებს იმისკენ, რომ აქტიურად ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ჩართულობისთვის არასასურველ ფონს ქმნის საზოგადოების პოლიტიკური ნიშნით პოლარიზაცია. საჯარო სექტორში დასაქმების და წინსვლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი არის პოლიტიკური ლოიალობა. კვლევის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, „ანალოგიური ვითარებაა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც უმეტესად ქალები არიან დასაქმებული – ეს ეხება ნებისმიერ პოზიციას: პედაგოგის, მზარეულის, დამლაგებლის და ა.შ.".

კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების მიმართ ინტერესის ზრდას. არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაწეულ დახმარებაზე საუბრისას, კვლევის მონაწილეები პირველ რიგში მიკრო ბიზნესის განვითარების და არაფორმალური განათლების შესახებ საუბრობენ:

„არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ყველაზე კარგი ნაბიჯი იქნება, პრაქტიკული და სატრენინგო კურსების ჩატარება. უნდა დაანახონ, რომ შესაძლებელია პრობლემების მოგვარება დამოუკიდებლად, რომ მათი ჩართულობის გაზრდით ბევრი პრობლემის გადაჭრა მოხდება".

კონკრეტულად, ისინი საუბრობენ ფონდ "ტასოს", კავკასიური ინსტიტუტის და CENN ის მიერ განხორციელებულ პროექტებზე.

მიკრო ბიზნესის დახმარება, მაგალითად სათბურების გაკეთება ან მეფუტკრეობის ხელშეწყობა, წარმოადგენს ასევე დახმარების მიღების ყველაზე სასურველ მიმართულებას. მონაწილეები ამბობენ, რომ ხშირად დროულად ვერ იღებენ ინფორმაციას გამოცხადებული საგრანტო კონკურსების შესახებ და ზოგჯერ, ამ კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად სათანადო უნარებიც აკლიათ. ამაშიც, ისინი არასამთავრობო ორგანიზაციებს თხოვენ დახმარებას.

მიმართულება, რომელსაც კვლევის მონაწილეები პრიორიტეტულად მიიჩნევენ, არის განათლება. საუბარია როგორც არაფორმალურ, ის ფორმალურ განათლებაზე. ისინი საჭიროდ

მიიჩნევენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის განვითარებას. არაფორმალური განათლების მიმართულებით, ყველაზე მეტად ბიზნესის განვითარების და პროექტების განხორციელების მიმართულებებით არიან დაინტერესებულები. სახელდება, ასევე, სხვა მიმართულებებიც:

„პირველ რიგში უნდა ვიცოდეთ საკუთარი უფლებები, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები. ასევე, საჭიროა ვიცოდეთ, როგორ უნდა მოვთხოვოთ ადგილობრივ თვითმმართველობას ამა თუ იმ პრობლემების მოგვარება“.

აქტიურ ქალებზე საუბრისას, კვლევის მონაწილეები პირველ რიგში ასახელებენ ახალგაზრდა ქალებს, რომლებიც მზად არიან ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში. თუმცა, ასეთი ქალები არიან უფროსი თაობის წარმომადგენლებს შორისაც.

მონაწილეები ასახელენ ქალების რეგულარული შეკრების სამ ადგილს. პირველი ასეთი ადგილია სახლები. კვლევის მონაწილემ აღნიშნა რომ ქალები ბოლო წლებში სულ უფრო იშვიათად მიდიან ერთმანეთთან სტუმრად, რაც დროის უქონლობით და სოფლიდან ადამიანების გადინებით აიხსნება. შეხვედრის ადგილად დასახელდა სკოლა და საბავშვო ბაღი. შეხვედრების დროს ხშირად განიხილება საერთო პრობლემები, თუმცა ამ პრობლემების საჯაროდ გამოტანა ყოველთვის არ ხდება. იგივე ეხება სხვა სივრცეებში მიმდინარე შეხვედრებს.

რეკომენდაციები

ქვემო ქართლში ჩატარებულ ინტერვიუებიდან ჩანს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის მაღალი მზაობა. კვლევის მონაწილეების მოლოდინი ძირითადად ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და ამ ამოცანასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო აქტიობებს ეხება. საჭიროა შეფასდეს, ერთის მხრივ, არასამთავრობო სექტორის და დონორების შესაძლებლობები, მეორე მხრივ, რეგიონულ ეკონომიკაში არსებული რეალური ნიშები.

აქტიურ ქალებზე საუბრისას, კვლევის მონაწილეები ხშირად ახსენებდნენ ადამიანებს, რომლებიც ჯერ არ არიან ჩართულები რაიმე საზოგადოებრივ საქმიანობაში, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდან არსებულ ინიციტივაზე საპასუხოდ მზად არიან ჩაერთონ. სავარაუდოდ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ პროექტებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალებში თვითორგანიზების უნარის განვითარებას და ინიციატივების მდგრადობას, ასევე, მომავლის გეგმების დამუშავებას.

რეგიონში გენდერულ პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ქალთა პოლიტიკური გაძლიერების საკითხს. ადგილობრივ ქალებთან მიმდინარე დიალოგში, უფრო ნათლად უნდა აიხსნას უთანასწორობის არაერთგვაროვანი ხასიათი, კერძოდ, ის რომ მატერიალურ რესურსებზე მეტი წვდომა ყოველთვის არ ნიშნავს სხვა სფეროებში ქალთა ძალაუფლების ზრდას. ადგილობრივ კონტექსტში, ძალაუფლების გადანაწილებასა და ეკონომიკურ უთანასწორობას შორის არაერთგვაროვანი მიმართების შესახებ საუბარი გააფართოებდა და გააღრმავებდა ადგილობრივ გენდერულ დღის წესრიგს.

კვლევის მონაწილე და ინტერვიუერი საუბრობდნენ რეპრეზენტატულ კვლევის ჩატარების საჭიროების შესახებ. ასეთმა კვლევამ, მათი აზრით, უკეთ უნდა გამოავლინოს არსებული პრობლემები. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევები კარგ საფუძველს ქმნიან რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად. ასეთი კვლევის ჩატარების დროს, გასათვალისწინებელია ადგილობრივი კულტურული კონტექსტი და მსგავს კულტურულ კონტექსტში ქალების მონაწილეობით რაოდენობრივი კვლევების ჩატარების გამოცდილება.

შეჯამება და რეკომენდაციები

კვლევამ გამოავლინა სათემო ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობისთვის რამდენიმე ხელშემშლელი ფაქტორი. ეს ფაქტორები, პირობითად, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად:

ეკონომიკური ფაქტორები – შეგვიძლია მოვიაზროთ მატერიალურ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა, რომელიც ხელს უშლის ქალებს დააყენონ და განახორციელონ თემისთვის და მათი ოჯახისთვის სასარგებლო ინიციატივა. ამ ფაქტორებს შორის არის სიღარიბე, რომლის გამოც რეგიონებში მცხოვრებ ქალებს უწევთ დროის და ენერგიის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ხარჯვა. ასეთ შემთხვევებში იწყებს მოქმედებას ე.წ. „სიღარიბის ხაფანგი“, როდესაც სიღარიბე თავისთავად უშლის ხელს ადამიანების კონკრეტული მიმართულებით გააქტიურებას, ხოლო ეს პასიურობა კი მის სიღარიბეში დარჩენას უწყობს ხელს (Sachs, 2006). ამ პრობლემის კონკრეტულ მაგალითად გამოდგება სათემო ინიციატივებში ჩასართველად საჭირო დროის და ენერგიის უქონლობა, რომელსაც უჩივიან სხვა ქვეყნებში სამუშაოდ წასული კაცების ოჯახის წევრი ქალები.

კულტურული ფაქტორები – კვლევის მონაწილეები ხშირად საუბრობდნენ „მენტალიტეტზე“, როგორც ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ ხელშემშლელ ფაქტორზე. ამ „მენტალიტეტის“ მნიშვნელოვან ნაწილს, მონაწილეთა თქმით, შეადგენს წარმოდგენა რომლის მიხედვითაც სათემო პრობლების მოგვარება არ არის „ქალის საქმე“. ეს წარმოდგენა ქალებს სათემო ინიციატივებში ჩართვაში და საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებაში უშლის ხელს. პასიურობის შედეგად, ასევე, ქალები ვერ ახერხებენ სათემო პრობლემებთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე ცოდნის და გამოცდილების დაგროვებას, რაც ჩართულობისთვის დამატებით პრობლემას წარმოადგენს.

კულტურულ ფაქტორებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ კვლევის მონაწილეები ხშირად ახდენენ ამ ფაქტორების „ესენციალიზაციას“ – მათი, როგორც კულტურის განმსაზღვრელ, უცვლელ და მყარ მახასიათებლად წარმოჩენას. ამ მნიშვნელობით კულტურული ფაქტორები ზოგჯერ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების და გენდერის სპეციალისტების ინტერვიუებშიც კი ამ სახით არიან წარმოჩენილნი. სასურველია, განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ადგილობრივ კულტურულ თავისებურებებს და რეგიონის შიგნით არსებულ მრავალფეროვნებას. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი კულტურის, ერთი შეხედვით, „ძირეული“ მახასიათებლების და მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობის კავშირს.

კვლევის მონაწილეთა მიერ დასახელებული პრობლემები მსგავსია იმ ბარიერების, რომელსაც ქალები მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აწყდებიან. საქართველოს მსგავსად, კენიაში ქალებს უწევთ სიღარიბის, ქმრებზე ეკონომიკური დამოკიდებულების და კულტურული დისკრიმინაციის წნეხის ატანა (Fonchingong and Ngwa, 2006). ამ კვლევის ავტორები ასევე აღნიშნავენ, რომ ქალები არასათანადო დონეზე არიან წარმოდგენილი ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურებში, რასაც შედეგად მოყვება თემის განვითარების პროცესში მათი ინტერესების უგულვებელყოფა. საქართველოში იგივე პრობლემის არსებობას აღნიშნავს ქეთევან სართანია მის მიერ მომზადებულ ლიტერატურის მიმოხილვაში.

ამ პრობლემებთან გამკლავების ერთ-ერთ საშუალებად მიჩნეულია სპეციფიურად ქალების საჭიროებებზე მორგებული პროექტების განხორციელება. ასევე, შესაძლებელია პროექტებში ქალების ინტერესების ცალკე კომპონენტების შემოტანა (World Bank, 2011), რამაც, ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა შეამციროს პროექტების „ელიტის მიერ ხელში ჩაგდების“ პრობლემა, სიტუაცია, როდესაც დახმარებაზე კონტროლი ხვდება თემში ძალაუფლების მქონე წევრების ხელში. (Mansuri and Rao, 2012).

ქალთა ინტერესებზე მორგებული პროექტების ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებად შეიძლება მოვიაზროთ ქალებისთვის დროის გმოთავისუფლებაზე მიმართული საგანამნათლებლო და პრაქტიკული პროქტების განხორციელება (Fonchingong and Ngwa , 2006). არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ გაავრცელონ ის ცოდნა და ტექნოლოგიები, რომლებიც პირველ რიგში ქალებს დაეხმარება ყოველდღიური ამოცანების გამკლავებაში. მაგალითად, იქ სადაც

ქალებს, კაცების მიგრაციის გამო, მოუწიათ მათთვის ახალი ამოცანებთან შეჭიდება, შესაძლებელია სწორად ამ ამოცანებთან დაკავშირებით ტრენინგების შეთავაზება.

თემის განვითარებაში ქალების ინტერესების უფრო სრულყოფილი წარმოდგენის მიზნით, საჭიროა ქალების საერთო კრებებში, ასევე შეხვედრის სხვა სივრცეებში მონაწილეობის გაზრდა (Nadelman, nd). საქართველოს ბევრ სოფელში, ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოფლის კრებებში და საერთო პრობლების განხილვაში. თუმცა, ყურადღება უნდა მიექცეს ამ კრებებში მონაწილეობის თვისებრივ მახასიათებლებს. ხშირად, კულტურული წარმოდგენების და თემის შიდა ძალაუფლების სტრუქტურის გამო, ქალები ვერ ახერხებენ დისკუსიაში კაცებთან თანასწორ პოზიციაში მონაწილეობას.

საჯარო სივრცეში ქალთა გაძლიერების პარალელურად, სასურველია მოხდეს მათი ავტონომიური სივრცეების განვითარება და ახალი სივრცეების შექმნა (Fonchingong, 2013). ეს საშუალებას მისცემს ქალებს დააგროვონ ახალი ცოდნა/უნარები, ასევე აიმაღლონ თვითშეფასება, რაც, საბოლოოდ, მათ სათემო საქმეებში მონაწილეობაზე დადებითად აისახება (Ahmed et al.,2009). ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ქალთა ავტონომიურ ჯგუფებში ჩართული ქალების და თემის წევრებს შორის ურთიერთობას, იმისთვის რომ ავტონომიურ ჯგუფებში მონაწილეობა არ გახდეს სტიგმატიზაციის ან, სხვა ფორმით ჩაგვრის საფუძველი.

სათემო ცხოვრებაში ქალთა გააქტიურებისთვის საჭიროა მათ ხელში არსებული კაპიტალის გაზრდა. საუბარია სამი ტიპის კაპიტალზე: ეკონომიკურ კაპიტალზე (ფული და მატერიალური აქტივები), სოციალური კაპიტალზე (მდგრადი კავშირები საზოგადოების სხვა წევრებთან) და კულტურულ კაპიტალზე (საზოგადოებაში აღიარებული ცოდნა) (Bourdieu, 1986). კაპიტალის ფლობა წარმოადგენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და აღიარების წინაპირობას (Bourdieu, 2005). ასევე, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ მხოლოდ უშუალოდ საზოგადოების წევრებთან დიალოგში არის შესაძლებელი იმის გაგება, თუ რა ტიპის კაპიტალის დეფიციტს განიცდიან ეს ადამიანები. შესაბამისად, პროექტების დაგეგმვაში ბენეფიციარების მონაწილეობა და მათი აზრის გათვალისწინება წარმოადგენს ჩართულობაზე მიმართული პროექტების წარმატების აუცილებელ წიპირობას.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ლოსაბერიძე, დავით (2012) „თემთან მუშაობა – გამოწვევები და პერსპექტივები“, *თემთან მუშაობა და თემის განვითარება*. თბილისი: სათემო განვითარების ცენტრი. http://cdrc.ge/upload/531be00a8fa05c062b6e3d86b7d5912e.pdf
2. საფარი (2017) *ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში*. თბილისი: საფარი. http://www.parliament.ge/uploads/other/86/86671.pdf
3. Ahmed, Z.U., Euler, C., Khattak, S.G., Morton, J.F., & Tariq, M. (2009). *Assessing the impact of community driven development: Twenty Six Years of Pakistan's Rural Support Programmes*. London: DFID. http://www.jfmorton.co.uk/pdfs/CommunityDrivenDevelopment.pdf
4. Bourdieu, Pierre.(1986) "*The forms of capital."Cultural theory: An anthology 1* , 81-93.
5. Bourdieu, P. (2005). Principles of an economic anthropology. *The handbook of economic sociology*, 2, 75-89.
6. Fonchingong, C. C. (2013). *Citizen Strategizing Amid a Solidarity Economy in Cameroon: Are Village Development Associations (VDAs) Resilient?* Draft paper prepared for the UNRISD Conference Potential and Limits of Social and Solidarity Economy 6–8 May 2013, Geneva, Switzerland. http://www.unrisd.org/80256B3C005BCCF9/httpNetITFramePDF?ReadForm&parentunid=4AF4D8FDE03BC22EC1257B5F005D2DE9&parentdoctype=paper&netitpath=80256B3C005BCCF9/(httpAuxPages)/4AF4D8FDE03BC22EC1257B5F005D2DE9/$file/Fonchingong%20draft%20paper.pdf
7. Fonchingong, C. C., & Ngwa, C. A. (2006). Rethinking the Cost–Benefit Equation of Women's Participation in Community-driven Development in North-western Cameroon. *Indian Journal of Gender Studies*, 13(1), 61-82.

8. Mansuri, G., & Rao, V. (2012). *Localizing development: does participation work?*. World Bank Publications. http://www.delog.org/cms/upload/pdf/lgd/Localizing_Development_-_Does_Participation_Work.pdf
9. Nadelman, R. (no date). *Haiti Community Driven Development Project Gender Assessment*. Washington,D.C.:World Bank. http://www.genderinag.org/sites/genderinag.org/files/Wb%20PRODEP%201-31-12.pdf
10. Sachs, J. D. (2006). *The end of poverty: Economic possibilities for our time*. Penguin.
11. World Bank. (2011). *Gender dimensions of community-driven development operations: A toolkit for practitioners*. East Asia and Pacific Region. Washington, DC: World Bank. http://siteresources.worldbank.org/INTEAPREGTOPSOCDEV/Resources/12763RegionGenderWEB.pdf

ქეთევან სართანია

ქალთა ჩართულობის დაბალი მაჩვენებლის მიზეზები: მეორადი წყაროების ანალიზი

შესავალი

ქალების პოლიტიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ჩართულობის დაბალი მაჩვენებლი ეკონომიკური, კულტურული და სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული. დაბალია მათი რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებსა თუ აღმასარულებელ და ადგილობრივ ხელისუფლებაში. თავის მხრივ, ქალების მცირე რაოდენობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ქალთა საკითხების პოლიტიკურ დღის წესრიგში დაყენებაზე.

ქალთა ჩართულობა და პოლიტიკაში მონაწილეობა შეიძლება გაიზომოს ორი მახასიათებლით: 1. რაოდენობრივი მაჩვენებელი საქართველოს ხელისუფლების სამივე შტოსა და ადგილობრივ თვითმმართველობებში, ქალების რაოდენობრივი მაჩვენებლები პარტიულ სიებსა თუ მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე და 2. თვისებრივი მახასიათებლები, კერძოდ, ის ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ და მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, პარტიულ, ადგილობრივ თუ ეროვნულ დონეზე.

2020 წლისთვის საქრთველოს პარლამენტში 150 დეპუტატიდან 21 ქალია, ხოლო 11 სამინისტროდნ 5 მინისტრი ქალია. 2018 წლის ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოში მოსამართლეთა საერთო რაოდენობა 306-ია. აქედან 53,3% ქალია, თუმცა მათი წარმომადგენლობა მენეჯერულ პოზიციებზე ბევრად დაბალია. 26 სასამართლოს თავმჯდომარიდან მხოლოდ 4-ია ქალი, 9 პალატაში თავმჯდომარის პოსტი მხოლოდ 2 ქალს უკავია, კოლეგიის ყველა თავმჯდომარე კი მამაკაცია[1].

საქართველოში 59 მუნიციპალიტეტისა და 5 თვითმმართველი ქალაქის საკრებულოში სულ 1550 დეპუტატია წარმოდგენილი. მათ შორის უმრავლესობა 88,9% (1379) კაცია, ხოლო ქალების რაოდენობა 11,1%-ს (171) შეადგენს. საკრებულოებში ქალ დეპუტატთა ყველაზე მაღალი (20% და მეტი) პროცენტული მაჩვენებელი ფიქსირდება: თეთრიწყარო 28% (8); ქედა 26% (5); ონი 26% (6); ადიგენი 21% (5); სენაკი 20% (5)[2].

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს მისი შინაარსობრივი ნაწილის კვლევის საჭიროებასა და იმ მიზეზების გამორკვევის მნიშვნელობაზე, თუ რა განაპირობებს ქალების დაბალ მაჩვენებელს პოლიტიკაში.

ქალები მრავალ დაბრკოლებას აწყდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისა თუ პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად. ამ დაბრკოლებების გამოსავლენად, წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს აქამდე არსებულ კვლევებსა და ანგარიშებს, რომლებიც საუბრობენ ქალების ჩართულობასა და მონაწილეობაზე. კვლევა გამოიყენებს ორ მეთოდს ქალების მონაწილობის ბარიერების შესაჯამებლად: პირველი იქნება სტატისტიკური მონაცემები, ხოლო მეორე შე-

1 საქართველოს საერთო სასამართლოების მართვის რგოლში ქალ მოსამართლეთა დაბალი წარმომადგენლობის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა; ევროპის საბჭო; 2019; გვ.6-7; https://rm.coe.int/-/1680986180?fbclid=IwAR1ik-BGZusyA6yEvUN_MaTmewED3IcF7E0uhm5JI_wcn016kVgXVFX74yM0

2 ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში ქალ დეპუტათთა წარმომადგენლობა და გენდერული ბალანსი საქართველოში; ISFED; 2014; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75726.pdf

ეცდება მონაცემების შინაარსსა და მის მნიშვნელობაზე ისაუბროს. ბოლო თავი შეაჯამებს იმ ძირითად შეხედულებებს, თუ რა განაპირობებს ქალთა ჩართულობის დაბალ მაჩვენებელსა და მის გამომწვევ ან ხელშემწყობ ძირითად მიზეზებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მეთოდოლოგიად გამოყენებულია საჯაროდ ხელმისაწვდომი ანგარიშები ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობასა და ჩართულობაზე. ანგარიშებისა და კვლევების დამუშავება მოხდა ორი ძირითადი საკითხის კატეგორიზებით: 1. რა უშლის ქალებს ხელს პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად? და 2. როგორია ეს მონაწილება სტატისტიკური მაჩვენებლის მიხედვით?

კვლევებისა და ანგარიშების კატეგორიზება და დამუშავება მოხდა ამ ორი შეკითხვის მიხედვით, ხოლო მოპოვებული მონაცემები გაანალიზდა თემატური კატეგორიების მიხედვით, როგორიც არის, ოჯახი, საზოგადოებრივი განწყობები, პოლიტიკური პარტია, ქალისა და კაცის მიმართ არსებული როლური მოლოდინები, ეკონომიკური მახასიათბელი თუ ევროინტეგრაციის პროცესში ქალთა ჩართულობის კომპონენტის მნიშვნელობა.

სტატისტიკა

საქართველოს მოსახლეობის 50%-ზე მეტი ქალია. 2017 წელს ეკონომიკურად აქტიური ქალები 58%-ს წარმოადგენდნენ, ხოლო კაცებში ეს მაჩვენებელი 75% იყო. ეკონომიკურად აქტიური ქალებიდან დასაქმებულთა წილი 51%-ია, დანარჩენი 7% – უმუშევარი. ეკონომიკურად არააქტიური ქალების 18% დიასახლისი და პენსიონრები არიან (18%), 5% კი სტუდენტები[3]. აღნიშნული სტატისტიკური მახასიათებლები აჩვენებს ქალთა მრავალგვაროვან ჯგუფსა და ქვეჯგუფებს, შესაბამისად, ჩანს მათი საჭიროებების მრავალფეროვნება, რომლებსაც სჭირდებათ შესაბამისი პოლიტიკური რეპრეზენტაცია. ამ თემათა პოლიტიკურ დღის წესრიგში დასაყენებლად მნიშვნელოვანია ქალთა პოლიტიკაში ჩართულობის სტატისტიკური მონაცემების ჩვენებაც.

2020 წლისთვის პარლამენტის ქალ წევრთა რაოდენობა 14%-ია[4] (21/150). 2016 წლის სექტემბრის მონაცემებით საქართველოს პარლამენტში 12% ქალი იყო. მინისტრ ქალთა რაოდენობა 45%, ხოლო 2016 წელს მინისტრების 10.5% იყო ქალი. მინისტრებში ქალთა რაოდენობის ზრდაზე იმოქმედა 2018 წელს მცირე მთავრობის ინიციატივამაც, რომლის ფარგლებშიც 4 სამინისტრო გაუქმდა. 2016 წლის საპარალმენტო არჩევნებში დარეგისტრირებულ მაჟორიტარულ სიებში (სულ 835 კანდიდატი) კანდიდატების მხოლოდ 16.4% იყო ქალი, ხოლო პროპორციულ სიებში ქალთა წარმომადგენლობა 10%-დან 40% იყო. რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, 2014 წელს ქალთა წარმომადგენლობის წილი ადგილობრივ თვითმმართველობის დონეზე 11.1% შეადგენდა.

2020 წლის მონაცემების წინა არჩევნების მონაცემებთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობა მცირედ, მაგრამ მაინც იზრდება. არის თუ არა საკმარისი აღნიშნული ზრდა ქალთა საკითხების პოლიტიკის დღის წერიგში დასაყენებლად და შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ქალთა პოლიტიკაში ჩართულობა იზრდება? სხვადასხვა კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა ინტერესების დღის წესრიგში დასაყენებლად, ხელისუფლების სხვადასხვა შტოში, ქალთა კრიტიკული წარმოამადგენლობა, 30% უნდა იქნას უზრუნველყოფილი. დარგის

3 ქალი და მამაკაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია; 2018; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://www.geostat.ge/media/23369/WM_ge-2018.pdf

4 1998 წლის არჩევნების შედეგად ქალების შეადგენდნენ საკრებულოს წვრების 14%, 2020 წელს – 12%-ს, 2006 წელს 11%-ს, ხოლო 2010 წელს 10%-ს; გვ.59; კვლევა; კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართველოში, საბოლოო ანგარიში, ნაწილი მეორე, თავი მეოთხე, ლალი ხომერიკი – ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებასა ა საერთაშორისო წარმომადგენლობებში).

სპეციალისტების თანახმად, ეს არის ის მაჩვენებელი, რომელიც შეძლებდა ქალთა საკითხების პოლიტიზირებასა და მათ აქტუალიზებას პოლიტიკაში.

1991 წლიდან მოყოლებული 2010 წლამდე, ქალთა წარმოამდგენლობა პარლამენტში არასდროს აჭარბებდა 10%-ს, ხოლო ადგილობრივ თვითმმართველობაში ეს მაჩვენებელი 11%-ია. (UNDP; 2013). მიუხედავად იმისა, რომ 1998 წლიდან მიმდინარეობს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის გაზრდის მიზნით სხვდასხვა საკანონმებლო ინიციატივების წარდგენა, 2020 წლისთვის ეს საკითხი ისევ მიუღწეველ ამოცანად რჩება.

პარლამენტში, აღმსარულებელ ხელისუფლებასა და ადგილობრივ თვითმმართველობებში ქალთა მონაწილეობის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ ქალების პოლიტიკაში მონაწლეობის 2-3%-იანი ზრდა დაბალია და არ არის საკმარისი ქალთა ინტერესების რეპრეზენტაციისათვის.

ცხრილი #1[5]

წლები	პარლამენტში ქალები %	წლები	მინისტრი ქალები %	წლები	ადგილობრივ თვითთმართ-ველობაში ქალები %
1991	6.8%				
1992	5.6%				
1995	7%				
2003	6.4%				
2008	9.4%			2010	10%
2012	5%	2013	21%	2014	11.1%
2016	12%	2016	10.5%		
2020	14%	2020	45%		

2011 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, საპარლამენტო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ქლების მონაწილობა 10-16%-მდე მერყეობდა, ხოლო სასამართლო ხელისუფლებაში ქალების მოანაწილეობა 40%-ზე მეტი იყო. კლევის მიხედვით, სასამართლო ხელიუფლების ამგვარი მაჩვენებელი, დანარჩენ ორ შტოსთან შედარებით, აიხსნება, მოსამართლეთა შერჩევის ღია საკონკუსრსო წესითა და საკვალიფიკაციო გამოცდების შემოღებით, სადაც ქალები კონკურენციის პირობებში აღწევენ მაღალ პოზიციებს[6].

ეთნიკურად მრავალფეროვან მუნიციპალიტეტებში ქალთა მონაწილეობა და ჩართულობა კიდევ უფრო დაბალია. ტრადიციული გენდერული როლები, ქალთა სიღარიბე, ენობრივი ბარიერი, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და საოჯახო საქმეები, აქ კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს ქალებისათვის ბარიერის შექმნაში. მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციაც ამას მოწმობს. მაგალითად, 2014 წლის მონაცემებით, "...მრავალეთნიკური მუნიციპალიტეტების საკრებულოებში ქალთა პროცენტული წილი შეადგენს 7,5% (183/14), რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ამ მხრივ არ არის სახარბიელო სიტუაცია. დანარჩენ მონოეთნიკურ მუნიციპალიტეტებში ქალთა წარმომადგენლობის პროცენტული მაჩვენებელი 11,5% (1341/157) შეადგენს" (ISFED; 2014; გვ.5-6). "პოლიტიკურ თანამდებობებზე არჩეული ქალების რაოდენობა განსაკუთრებით დაბალი ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებშია (EMC; დელისი; გვ.18).

5 გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap) ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები. საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება 2015 ავტორი მაია კუპრავა-შარვაშიძე.გვ.18.

6 კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართველოში, საბოლოო ანგარიში, ნაწილი მეორე, თავი მეოთხე, ლალი ხომერიკი – ქალთა მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებასა და საერთაშორისო წარმომადგენლობებში; 2011; გვ.56

ამგვარად, სტატისტიკური მონაცემები საქართველოში პოლიტიკაში ქალების მონაწილების შესახებ არაერთგვაროვან სურათს აჩვენებს. მოცემული ციფრები ცხადყოფს პოლიტიკაში ქალების დაბალ წარმომადგენლობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე ქალების მცირე რაოდენობაზე, რაც ხელს უშლის ქალთა კოორდინირებულ მოქმედებას პოლიტიკაში და ქალთა ინტერესების პოლიტიკურ დღის წესრიგში რეპრეზენტაციას.

საკანონმდებლო აღმასრულებელ თუ სასამართლო ხელისუფლებაში ქალების მონაწილეობაზე მოქმედებს პოლიტიკურ პარტიებში ქალების ჩართულობა. ხშირად, პოლიტიკური პარტიის წევრი ქალები აქტიურად არიან ჩართული წინასაარჩევნო პროცესში, თუმცა პარტიის გამარჯვების შემთხვევაში ისინი ვერ აღწევენ პოლიტიკურ თანამდებობებს ან დაწინაურებულ პოზიციებს, ხოლო პოლიტიკური პარტიის დამარცხების შემთხვევაში პარტიის უმოქმედო წევრებად რჩებიან ან ქრებიან პოლიტიკიდან. შესაბამისად, საარჩევნო სისტემაში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ბარიერს თავად პარტიები წარმოადგენენ. "რა სახის საარჩევო სისტემაც არ უნდა მოქმედებდეს ქვეყანაში, და რა წამახალისებელი ნორმებიც არ უნდა იქნას შემოღებული, საბოლოოდ, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდა პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული[7]". ფინანსური წახალისება კი მუშაობს მას შემდეგ, რაც მოგვარებულია შიდა პარტიული გენდერული კვოტირების სისტემა. ახალგაზრდა ისურისტთა ასოციაციის კვლევაში ვკითხულობთ, რომ "პარტიის წევრთა უმეტესი ნაწილი აღიარებს, რომ ქალთა მონაწილეობა ქვეყანაში დაბალია, თუმცა ამას ვერ ხედავს საკუთარ პარტიაში"[8].

გენდეული სტატისტიკა მოწმობს პარტიებში არსებულ ქალთა მიმართ არსებულ უთანასწორობას. მაგალითად, "2014 წლის, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში დასახელებულ კანდიდატებს შორის გენდერული ნიშნით არსებული უთანასწორობა. კერძოდ: თბილისის მერობის 14 კანდიდატიდან მხოლოდ ორი ქალი დასახელდა; თვითმმართველ ქალაქებში მერობის კანდიდატებს შორის 65 კაცი და 8 ქალი იყო წარდგენილი. ასევე, მნიშვნელოვანია საარჩევნო სუბიექტების პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატების გადანაწილება. 1129 კანდიდატიდან მხოლოდ 427 ქალი იყო. პარტიის მიერ რეგისტრირებულ მაჟორიტარ კანდიდატებს შორის სულ 5707 კანდიდატიდან მხოლოდ 846 ქალია."[9]."

აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებში გენდრული თანასწორობის მიმართულებით კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაა პარტიების რეგიონალურ წარმომადგენლობებში, სადაც სოციალური და კულტურული ფაქტორები კიდევ უფრო ძლიერ ნეგატიურ გავლენას ახდენს ქალების პოლიტიკაში მონაწილეობაზე.

ქალის პოლიტკაში მონაწილეობის ძირითადი ბარიერები

ქალთა პოლიტიკაში მონაწილებას მრავალი დაბრკოლება აქვს საქართველოში. ისინი შეიძლება დაიყოს კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებად. სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები გულისმოხბს ქალების ფინანსებზე, განათლებაზე, ჯანდაცვასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას; კულტურული ფაქტორები საზოგადოებრივი განწყობებით, ოჯახისა და სხვა ტრადიციული ინსტიტუტების როლებით არის განპირობებული.

ამ დრომდე საქართველოში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა აქტიურობისა და ჩართულობის ყველა ეს ფაქტორი ერთმანეთზე ზემოქმედებს და ქმნის ერთიან ბარიერს ქალებისთვის. მიუხედავად ამისა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართულებით, ბოლო ათწლეული მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდება, როგორც საზოგადოებრივ აღქმებში, ისე მათ ქცევებში. "2010 წლის მარტში პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ"

7 ქალები ქართულ პოლიტიკაში, საია 2017გვ,6.

8 იქვე. გვ.10.

9 გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap) ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები. საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება;მაია კუპრავა-შარვაშიძე.გვ.18-19; 2015.

და შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმა. პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც თავიდან დროებითი სამეთვალყურეო სტრუქტურა იყო, 2010 წლის მარტში მუდმივ-მოქმედი ორგანო გახდა" (UNDP; გვ.7). 2014 წელს საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით კი, თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, "მოსახლეობის 70% მიიჩნევს, რომ საქართველოს პარლამენტში ქალების რაოდენობა სულ მცირე 30% უნდა იყოს" და "მოსახლეობის 55%-ისთვის, 150 წევრიან პარლამენტში, 17 ქალი პარლამენტის წევრი ძალიან ცოტაა".[10] ამავე კვლევის მიხედვით, "68% ამბობს, რომ მხარს უჭერს პარლამენტის მიერ, სავალდებულო გენდერული კვოტის შემოღებას". 2014 წელს გამოკითხულთა ნახევარზე მეტის სურვილის მიუხედავად, გაიზარდოს ქალების წარმომადგენლობა პოლიტიკაში, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი ისევ დაბალია.

წინამდებარე თავი წარმოადგენს ლიტერატურის, არსებული კვლევებისა და ანგარიშების მიმოიხილვას და თავს უყრის იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც წარმოადგენს ბარიერსა და დაბრკოლებას ქალების ჩართულობასა და პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად.

კვლევები აჩვენებს, რომ ქალთა ჩართულობაზე გავლენის მომხდენი ფაქტორები, საზოგადოებრივი განწყობები თუ ქალების თვითაღქმა მომდინარეობს ქალების ადრეული ასაკიდან, როდესაც გოგოები ადრეულ ასაკში ორმაგ ტვირთს შორის: განათლების მიღებასა თუ საოჯახო საქმეებს შორის ანაწილებენ დროს ან აკეთებენ იძულებით არჩევანს საოჯახო საქმეების სასარგებლოდ.

ოჯახი არის მთავარი სივრცე, სადაც ყალიბდება ქალის სოციალური როლის საზოგადოებრივი თუ თვითაღქმა და ძლიერდება, სუსტდება ან განმტკიცდება ქალისა თუ კაცის მიმართ არსებული როლური მოლოდინი. UNDP-ს 2013 წლის კვლევის მიხედვით, ღირებულებით იერარქიაში ოჯახი პირველ ადგილს იკავებს (99%, N=1760), როგორც ქალების, ისე მამაკაცების შემთხვევაში. შემდეგ მოდის რელიგია, სამუშაო და მეგობრები (გვ.17). ოჯახი თავის მხრივ, კავშირშია ნაციონალურ იდენტობასთან და ოჯახს შიდა იერარქიის აღქმა ტრადიციული როლებიდან გამომდინარეობს, რომელსაც ხშირად პატრიარქალური წარმოდგენები უდევს საფუძვლად. ამ წარმოდგენაში ძლიერია კაცის, როგორც ოჯახის ფინანსურად უზრუნველმყოფლის როლი (88%; გვ.17), მხოლოდ 11% მიიჩნევს რომ ეს თანაბრად უნდა იყოს ქალსა და კაცზე გადანაწილებული და 1%ს მიაჩნია, რომ ოჯახს ფინანსურად ქალი უნდა უზრუნველყოფდეს. კვლევის თანახმად, ამ წარმოდგენაში არ ვხვდებით განსხვავებას ქალაქის (86%) და სოფლის (90%) პოპულაციას შორის. წარმოდგენებს მიღმა არსებობს, რეალობა და ამავე კვლევაში ჩანს, რომ 34% ფიქრობს რომ ოჯახს ქალი უზრუნველყოფს ფინანსურად. ამასთან, ოჯახი მიიჩნევა ქალის რეალიზაციისთვის მთავარ სივრცედ. ქალს შეუძლია ოჯახში იყოს რეალიზებული როგორც დიასახლისი, დედა, მეუღლე. გამოკითხულთა 79%-ს მიაჩნია, რომ "ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით.", შესაბამისად გამოკითხულთა 92% იზიარებს მოსაზრებას, რომ "ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა" (UNDP, 2013;გვ.19). თუმცა, ამავე კვლევის თანახმად, მიუხედავად ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, არ იცვლება ტრადიციული გენდრული როლები და ქალების ძირითად საქმიანობად მაინც რჩება საშინაო შრომა (საჭმლის მომზადება, ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლა, ბავშვის მოვლა და ა.შ.). ხოლო, თუ ქალები დასაქმებული არიან, ისინი მუშაობენ ეკონომიკის ნაკლებშემოსავლიან დარგებში ნაკლებანაზღაურებად პოზიციებზე (გვ.7). აღნიშნული აჩვენებს, რომ ქალების სოციალიზაციის ეტაპი და ადრეული განვითარების ასაკში მიღებული გამოცდილება დიდწილად განსაზღვრავს მათ თვითაღქმასა და როლს საზოგადოებაში. ამას ხელს უწყოს საზოგადოებრივი და კულტურული ნორმები, რომლებიც ქალისა და კაცის როლის მიმართ ტრადიციული მოლოდინებით არის განპირობებული. მაგალითად, დასაქმებული ქალისთვის ოჯახისა და სამსახურის შეთავსება რთულია, ამბობს რესპონდენტების 58% (გვ.17)[11]. იმ საზოგადოებაში, სადაც ოჯახი აღიქმება, როგორც იერარქიის ყვლაზე მაღალ საფეხურზე მდგომი ღირებულება, ქალისა თუ კაცის შეფასებაც ოჯახური როლების შესრულების მიხედვით ფასდება. მაგალითად, გამოკითხულთა 39% სრულიად ეთანხმება, ხოლო 31% ნაწილობრივ ეთანხმება, რომ "სკოლამდელი

10 2014 წლის ოქტომბრის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში; NDI; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75656.pdf

11 საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, NDI; 2014; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75656.pdf

ასაკის ბავშვისთვის უკეთესია, თუ დედა არ მუშაობს[12]." სამსახური კი, თავის მხრივ, ქალისთვის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელია. ამგვარად, საზოგადოებრივი განწყობის მიხედვით, უმჯობესია ქალმა დათმოს მისი დამოუკიდებლობა ოჯახის სასარგებლოდ.

ქართული საზოგადოებისთვის ოჯახი მნიშვნელოვანი ღირებულებაა. 2019 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაში შეკითხვაზე "ვინ უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი?" 65% პასუხობს, რომ კაცი, 1%-ს მიაჩნია, რომ ქალი უნდა იყოს ოჯახის მარჩენალი, ხოლო 34% თვლის, რომ ეს თანაბარი პასუხმგებლობა უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, რეალობა განსხვავდება და შეკითხვაზე "ვინ არის დღეს ოჯახის მარჩენალი?" 43%-ს მიაჩნია, რომ ქალი, 34% ფიქრობს, რომ კაცია ოჯახის მარჩენალი, ხოლო 21%-ის აზრით, თანაბრად არის კაცი და ქალი ოჯახის მარჩენალი[13]. ოჯახში და საზოგადოებაში გენდერული როლების გადანაწილების მიხედვით, საზოგადოებრივი განწყობები და აღქმები ორ განსხვავებულ რეალობას ქმნის. აღქმები აჩვენებს ტრადიციული კულტურისთვის დამახასიათებელ გენდერულ როლებს, სადაც კაცი ოჯახის მარჩენალია და შესაბამისად გადაწყვეტილების მიმღები, ხოლო ქალები საოჯახო საქმეების შესრულებაში ახდენს საკუთარი თავის რეალიზაციას. მეორე რეალობაში კი, ქალები არიან ოჯახის ფინანსურად უზრუნველმყოფი და საშინაო შრომაშიც აქტიურად არიან ჩართული, იმის მიუხედავად, რომ მათ კაცებთან შედარებით დაბალი პოზიციები და ნაკლები ანაზღაურება აქვთ. ასეთი განსხვავებული რეალობები ქმნის ქალისთვის დაბრკოლებას და აჩვენებს აქტიური ქალის როლის მიუღებლობას საზოგადობრივ ცხოვრებაში.

კვლევაში "ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა გზამკვლევი ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერებისთვის საქართველოში" (დელისი; 2014) საუბარია დაბრკოლებათა სამ ძირითად კატეგორიაზე: სტრუქტურულ, ინსტიტუციურ და კულტურულ ბარიერებზე. კვლევაში სტრუქტურული ბარიერები მოიცავს წვდომას ფორმალურ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ასევე, ქალთა დაბალი მაჩვენებელი პოლიტიკურ არენაზე გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ბარიერებით. ავტორის თანახმად, ქალთა სიღარიბე წარმოადგენს მნიშვნელოვან ბარიერს მათთის პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები სწორედ განათლებაზე, უმუშევრობასა და სიღარიბეზე ახდენს გავლენას: "სოციალურ – ეკონომიკური ბარიერები სიღარიბესა და უმუშევრობას, ადეკვატური ფინანსური რესურსების ნაკლებობას, წერა-კითხვის უცოდინრობასა და შეზღუდულ წვდომას განათლებაზე, პროფესიის არჩევანზე, ორმაგ ტვირთს, რაც ერთდროულად საოჯახო საქმეებსა და სრული განაკვეთით მუშაობას მოიცავს. ქალები ასრულებენ არაპროპორციულად ბევრ საოჯახო საქმეს, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის პოლიტიკური კარიერის გაკეთებას. გარდა ამისა, საოჯახო საქმეები, ბავშვებსა და უფროსებზე ზრუნვა ყოველთვის არ განიხილება, როგორც რეალური სამუშაო. სიღარიბე, განსაკუთრებით კი სიღარიბის არაპროპორციულად დიდი გავლენა ქალებზე, ასევე არის ერთ-ერთი მთავარი შემაკავებელი ფაქტორი, რაც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პოლიტიკაში" (დელისი, გვ 10). ქალების საშინაო შრომის აღქმა, როგორც ქალების უმთავრესი ფუნქცია და მოვალეობა, ადრეული ასაკიდან გავლენას ახდენს მათ თვითაღქმასა თუ ოჯახის რესურსების განაწილებაზე განათლების მიმართულებით. ქალი ფასდება მის მიერ შერულებული საშინაო შრომის მიხედვით. ტრადიციულ საზოგადოებაში შექმნილი ასეთი სურათის გამო, ქალებმა შეითავსეს ყველა ტიპის შრომა. თუ ქალი ოჯახს გარეთაც არის დასაქმებული, ის სახლშიც ასრულებს საოჯახო საქმეებს და ამგვარად აკომპენსირებს მის სახლს გარეთ შრომას.

პარტიული პოლიტიკა და ქალი

გენდერულ თანასწორობასა და გენდერულ საარჩევნო სისტემებზე შექმნილი ანგარიშები ადამიანის თანასწორობასა და თანაბარ უფლებებზე საუბრობენ. საქართველოს კანონმდებლობა და საარჩევნო კოდექსიც გენდერულად ნეიტრალურია, როდესაც არ ახალისებს და არ უშლის ხელს გენდერულ თანასწორობას ქვეყანაში, თუმცა შერეული სისტემა, განსაუთრებით კი სა-

12 კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; https://caucasusbarometer.org/ge/gs2018ge/ATTPRECH/

13 კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; 2019; https://caucasusbarometer.org/ge/cb2019ge/codebook/

ქართველოში არსებული ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემა, არა მხოლოდ ახალისებს, არამედ ხელს უშლის ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში" (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცია (საია), 2016, გვ. 28). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცია (საია)-ს კვლევის მიხედვით, პირველ პრობლემად ქალთა პოლიტკური მონაწილეობისთვის, სახელდება არასტაბილური პარტიები. მცირე დროით შექმნილი პარტიები, როდესაც მარცხდებიან ქალები ან უფუნქციო წევრებად რჩებიან პარტიაში ან საერთოდ ტოვებენ პოლიტიკას.

მეორე ბარიერად, კვლევა ასახელებს ქალთა რეკრუტირებისა და მათი დაწინაურების პოლიტიკის არარსებობას პარტიის მხრიდან. მესამე ბარიერი კი არის გაუმართავი შიდაპარტიული სტრუქტურა, როდესაც პარტიის რიგითი წევრი ქალები ვერ აღწევენ მაღალ პოზიციებს. ამასთან, საარჩევნო პროცესის დროს ქალების დანიშვნა ზონის და უბნის კოორდინატორებად ქალთა პოლიტიკაში ჩართულობად მოიაზრება პარტიების მხრიდან. ამასთან უკვე ცნობილი ქალების წარდგენა საარჩევნო სიებში პარტიის რიგით წევრ ქალებზე ნეგატიურად მოქმედებს, რომელბიც წლებია პარტიას ემსახურებიან, თუმცა ვერ ახერხებენ დაწინაურებას (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცია (საია); 2016; გვ.32).

ქალთა პოლიტიკურ მონაწილეობას ხელს უშლის ასევე პარტიების მხრიდან ქალთა საკითხებით დაუინტერესებლობა და ფინანსური ბარიერი, რაშიც იგულისხმება ის, რომ პოლიტიკოს ქალს თავად უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაფინანსება და ტვირთად არ უნდა დააწვეს პოლიტიკურ პარტიას. და ბოლოს, ქალთა თვითაღქმა, რომლის მიხედვითაც ქალები ფიქრობენ, რომ ჯერ მზად არ არისნ პოლიტიკური პოზიციების დასაკავებლად. ამასთან, პარტია არ ცდილობს ქალების მომზადებას ამ მიმართულებით (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცია (საია); 2016; გვ. გვ33). ამ პრობლემათა გადასაჭრელად რეკომენდაცია არის დროებითი ზომა – გენდერული კვოტირება. თუმცა, სხვადასხვა მკვლევარები მიიჩნევენ, რომ "კვოტირებასთან და ფინანსურ წახალისებაზე მეტად მუშაობს სავალდებულო რეგულაციები" (საია; 2016; გვ.34). სხვა შემთხვევაში, გამოცდილებაც აჩვენებს, რომ დიდი პოლიტიკური პარტიები არ მიმართავენ ფინანსურ წახალისებას ან შიდაპარტიულ კვოტირებას თუ მას სავალდებულო ხასიათი არ გააჩნია.

გარდა სიღარიბისა, კულტურულ ფაქტორებს ძლიერი ნეგატიური გავლენა აქვს ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობაზე. ქალის ტრადიციული როლის აღქმა ხელს უშლის ქალებსა და საზოგადოებას დაინახოს ქალი პოლიტიკოსად და გადაწყვეტილების მიმღებ პირად: "გენდერული თანასწორობისადმი არსებული ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება ქალების არჩევითი თანამდებობების ანალიზისას. ტრადიციების მიხედვით, ქალის უპირატეს მოვალეობად კვლავაც დედისა და დიასახლისის როლი რჩება. მძლავრი პატრიარქალური ღირებულებები ინარჩუნებენ სქესის მიხედვით სეგრეგაციას. ქალების, როგორც დედის და ცოლის პასუხისმგებლობა, ასევე შიდა ოჯახური მოვალეობები, ართულებს მათ ჩართულობასა და მონაწილეობას საჯარო სივრცეში" (სარა დელისი;გვ.10). საზოგადოებრივი აზრის კვლევაც აჩვენებს, რომ ოჯახშიც კაცები მიიჩნევიან გადაწყვეტილების მიმღებ პირებად. დებულებას "კაცები უნდა იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებას სახლში" 26% სრულიად ეთანხმება და 28% ნაწილობრივ ერთანხმება[14]. ამ განწყობების მოტივაცია კაცის ძლიერი და ქალის სუსტი ბუნების შესახებ წარმოდგენაა, რომელიც ერთნაირად ვრცელდება როგორც ოჯახურ, ისე, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაზე. კვლევის შედეგად გამოიკვეთა რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც განაპირობებს კაცის უპირატესად აღქმას პოლიტიკის სფეროში და შესაბამისად, ქალისთვის პოლიტიკის ნაკლებად შეთავსებადობას. ეს ფაქტორებია:

1. ქალის განსხვავებული ბუნება – ქალის, როგორც სუსტი არსების აღქმა მამაკაცთან შედარებით;
2. ქალის ოჯახში დაკავებულობა;
3. პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა;
4. ოჯახის წევრების (მეუღლის) ნეგატიური დამოკიდებულება;
5. ამომრჩეველთა მხრიდან ქალის მხარდაჭერის უფრო დაბალი ალბათობა (UNDP, 2013, გვ.51).

14 კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; https://caucasusbarometer.org/ge/gs2018ge/ATTMEFW/

NDI-ს 2014 წლის გამოკითხვაში, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებით არსებულ დაბრკოლებებზე, პირველი 3 პასუხი შეეხება ინტერესის არქონას, შესაბამისი ასაკის არ ქონას და შესაბამისი გამოცდილების არქონას (გვ.37). პასუხები ქალებსა და კაცებზე თითქმის თანაბრად ნაწლდებოდა, თუმცა, ქალების შემთხვევაში აჭარბებდა პასუხი: "ოჯახური ვალდებულებები არ მიწყობს ხელს (ქალები 9%; კაცები 3%; გვ.37). შეკითხვაზე "რა არის ყველაზე დიდი დაბრკოლება საქართველოში ქალებისთვის პოლიტიკაში ჩასართავად?", 57%-ის მხრიდან ოჯახთან დაკავშირებული ვალდებლებები დასახელდა. პასუხებში ასევე იყო ქალების თავდაჯერეულობის ნაკლებობა და ნეგატიური წარმოდგენა პოლიტიკაზე, განათლებისა და არასაკმარისი რესურსების საკითხი (გვ.38). როგორც ამ გამოკითხვიდანაც ჩანს, ადრეული ასაკის გავლენები და ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები განაპირობებს ქალებისა და საზოგადობის ნეგატიურ განწყობებს ქალის ჩართულობასთან დაკავშირებით.

ქალთა სიღარიბეს ხელს უწყობს, ასევე, ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრება, რომლის თანახმად, მშობლების ქონების უდიდესი ნაწილი ვაჟიშვილს რჩება და არა ქალიშვილს. კვლევა ადასტურებს ამ გავრცელებულ აზრს – "ყველა სახის ქონება უფრო მეტად კაცის საკუთრებად მიიჩნევა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს სამკაული (ქალიშვილს უნდა ერგოს უდიდესი ნაწილი – 11%, ქალიშვილს უნდა ერგოს სრულად – 3%) სხვა სახის ქონებასთან შედარებით, სადაც ერთმნიშვნელოვნად ან თანაბრად გაყოფის ან კი კაცისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია ფიქსირდება. თვისებრივ კვლევაში დასახელდა ის არგუმენტები, რომლებიც ხსნის მსგავსი დამოკიდებულებების არსებობას. ბიჭისთვის ქონების დატოვება ქართული ტრადიციაა, რომელიც ეფუძნება იმ აზრს, რომ ოჯახის ქონება უნდა ერგოს მამაკაცს, ხოლო ქალისთვის კომპენსაციას მზითევი წარმოადგენს. ამავე დროს, ქალი, გათხოვების შემთხვევაში ხდება მეუღლის ქონების „მესაკუთრე", რომელიც მამაკაცს მშობლებისგან დარჩა ადათის თანახმად. თუმცა, ეს „მესაკუთრეობა" უფრო მეტად ქონების მოხმარების უფლებად მოიაზრება (სახლში ცხოვრება, ნივთების გამოყენება), და ნაკლებად გულისხმობს მის განკარგვას განსაკუთრებით განქორწინების შემთხვევაში" (UNDP, 2013, გვ.73). 2019 წლის საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, შეკითხვაზე "ვინ უნდა მიიღოს ბინა მემკვიდრეობით?" 45% ასახელებს, რომ ბიჭმა, 1% – გოგომ, ხოლო 49%-ის აზრით, ის თანაბრად უნდა გადანაწილდეს[15]. ამგვარად, კულტურული ტრადიციები და ოჯახში ტრადიციულად გადანაწილებული რესურსები ქმნის წინაღობასა და ბარიერს ქალებისთვის, მომავალში შეძლონ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება. უფრო მეტიც, ოჯახში დაწყებული ეკონომიკურად უთანასწორო გადანაწილება, გრძელდება პოლიტიკურ პარტიებს შიგნით არსებული ფინანსური გადანაწილების სისტემით, სადაც ქალი კანდიდატები ნაკლებად ხვდებიან საკუთარივე პარტიის მხრიდან ფინანსური სარგებლის ადრესატები.

გარდა ოჯახსა თუ პლიტიკურ პარტიაში არსებული ეკონომიკური უთანასწორობისა, ქალის აღქმასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განწყობებიც კულტურული მოტივებით არის გაჯერებული. გამოკითხვაში დასმულ კითხვაზე "რა არის კაცი/ქალი პოლიტიკოსისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?" გარეგნობა ქალებისთვის 18%-მა დაასახელა, მაშინ, როცა იგივე 10%-მა თქვა კაც პოლიტიკოსებზე (გვ.40). მიუხედავად ქალი პოლიტიკოსების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებისა და მოთხოვნებისა, გამოკითხულები ფიქრობენ, რომ ქალი პოლიტიკოსები კაც პოლიტიკოსებზე მცირედით, თუმცა მეტად ემსახურებიან საქართველოს მოქალაქეებისა და საკუთარი ამომრჩევლების ინტერესებს (გვ.41). გამოკითხულებს მაჩნიათ, რომ კაც პოლიტიოსებთან შედარებით ქალები ყველაზე კარგად განათლების სფეროს (სკოლებს და უნივერსიტეტებს) მიხედავენ. ყველაზე ნაკლები ფიქრობს, რომ ქალი პოლიტიკოსები სოფლის მეურნეობასა და ბიზნესს განკარგავენ (გვ.43). ამ გამოკითხვის მიხედვითაც ჩანს, რომ ქალების მიმართ პროფესიული მოლოდინიც ბავშვებთან და ზრუნვის ან მომიჯნავე სფეროებთან არის დაკავშირებული. რაც შეეხება სამუშაო პოზიციებს, გამოკითხულთა მიხედვით, ქალები ყველაზე უკეთ იმუშავებენ მოსამართლედ (16%) ან მინისტრის მოადგილეებად (15%) (გვ.45), ხოლო რესპონდენტთა 53% ამბობს, რომ მამაკაცი პოლიტიკოსები ქალ პოლიტიკოსებს არ მიიჩნევენ თანასწორებად (გვ.46), ხოლო ქალი პოლიტიკოსები თანასწორად მიიჩნევენ

15 კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; 2019; https://caucasusbarometer.org/ge/cb2019ge/APTINHERT/

მამაკაც პოლიტიკოსებს 55% (გვ.48)[16]. გამოკითხვაში კარგად ჩანს პარადოქსული ვითარება, სადაც რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ქალი პოლიტიკოსები უფრო მეტად ემსახურებიან საქართველოს მოქალაქეებსა და მათ ინტერესებს, თუმცა ქალ პოლიტიკოსებში გარეგნობა მაინც ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლად მიაჩნიათ. ამგვარი დამოკიდებულება ავლენს კულტურული და ეკონომიკური გავლენების მჭიდრო ნეგატიურ კავშირს ქალების პოლიტიკაში ჩართულობასა და მონაწილეობაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ძირითადი ფაქტორებისა, ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მისაღებად არსებობს სხვა ბარიერებიც, რომელშიც მოიაზრება თავდაჯერების ნაკლებობა არჩევნებში ჩასაბმელად, პოლიტიკის როგორც "ბინძური" და კორუმპირებული საქმის აღქმა, და მედიის გავლენა, რომელიც ქალს წარმოაჩენს, როგორც "სექსულურ ობიექტს", ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქალთა რეალურ საჭიროებებს და საკითხებს, იგნორირებას უკეთებს პოლიტიკაში ქალთა არარეპრეზენტატულობის საკითხს (დელისი, 2014; გვ.8-10). გარდა პოლიტიკისა, ქალთა დაბალი თვითშეფასება მათი სხვა სფეროებში მონაწილეობისთვისაც, მაგალითად, ბიზნეს-აქტივობებში ჩართვის მნიშვნელოვან ბარიერადაც მოიაზრება (UNDP; 2013; gv.20). მიუხედავად ამისა, ბიზნესი პოლიტიკასთან შედარებით, ქალებისთვის უფრო შესაფერის საქმიანობად მიიჩნევა, რადგან ქალს არ უწევს მუდმივად ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა და ამასთან, ბიზნესი უფრო საოჯახო საქმიანობადაც აღიქმება.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკა და ევროინტეგრაცია

პარტული პოლიტიკისა და მაღალ თანამდებობებზე ქალების დანიშვნის ან არჩევის გარდა, გენდერული თანასწორობა და ქალების მონაწილეობა განხილულია, როგორც საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის ერთ-ერთი დამაბკოლებელი ფაქტორი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულება 2014 წელის ივნისში გაფორმდა. ამ კონტექსტში "საქართველომ აიღო ვალდებულება, რომ უზრუნველყოს გენდერული თანასწორობა პოლიტიკურ ცხოვრებაში"[17]. გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავება საქართველოში ოფიციალურად სამთავრობო დონეზე 1998 წლიდან იწყება, როდესაც შეიქმნა პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული "ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის" ღონისძიებები (1998-2000), ხოლო 1999 წელს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოში შეიქმნა კომისია და "ქალთა წინსვლის სახელწმიფო პოლიტიკა[18]". სხვადასხვა დროს იქმნებოდა დოკუმენტები ქალთა მიმართ ძალადობისა და ტრეფიკინგის წინააღმდეგ. 2004 შეიქმნა პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო, შემდეგ კი 2005 წელს გენდერული თანასწორობის სამთავრობო კომისია აღმსარულებელ ხელისუფლებაში ევროინტეგრაციის სახელწმიფო მინისტრის მოადგილესთან. 2010 წლის 26 მაისს საქართველომ მიიღო გენდერული თანასწორობის შესახებ კანონი, რომლის მიზანია საზოაგდოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფა. 2011 წლიდან კი გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის მუდმივმოქმედ ორგანოდ ჩამოყალიბდა. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაში 22 წელს თვლის გენდერული თანასწორობისა და ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის შესახებ პოლიტიკის წარმოების ისტორია.

2014 წლის ასოცირების ხელშეკრულების თანასწორობის ნაწილი (2014-2015) სამ ძირითად მიმართულებას განსაზღვრავდა:

16 საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში, NDI; 2014; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75656.pdf

17 პატარაია, 2015 "პოლიტიკა ქალების გარეშე – კვოტები, როგორც გამოსავალი; პოლიტიკის დოკუმენტი;

18 გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap) ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები. საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება; მაია კუპრავა-შარვაშიძე; 2015; გვ.10.

1. გენდერული თანასწორობის გაძლიერება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.
2. ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან;
3. ოჯახში ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აღსრულების გაუმჯობესება, ამ საკითხის ირგვლივ ინფორმირებულობის ამაღლება და მსხვერპლისთვის საკონსულტაციო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა[19];

მიუხედავად ასოცირების ხელშეკრულებით გაწერილი მიზნებისა და მიმართულებებისა, 2014-2015 წლის სამოქმედო გეგმებში არ იყო ასახული, მაგალითად „ჯანმრთელობასა და და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესების დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან" ამასთან, არც ქალებისა და კაცების პოლიტიკაში თანასწორი მონაწილეობის შესახებ გამახვილდა ყურადღება. ამ წლების სამოქმედო გეგმამ გაითვალისწინა ოჯახში ძალადობის საკითხი (გვ.100). ამ შემთხვევაშიც ჩანს ქალთა ინტერესების დიდი ნაწილის უგულებელყოფა, რასაც ხელს უწყობს ქალების მცირე წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებსა თუ პოლიტიკაში. ამგვარი პრობლემების აღმოსაფხვრელად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, "2013 წლის 29 ივლისს, ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხელშეწყობისთვის საქართველოს ორგანულ კანონში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ 30-ე მუხლის 71 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: იმ შემთხვევაში, თუ პარტია სიაში კანდიდატთა ყოველ ათეულში განსხვავებული სქესი სულ მცირე 30%-ით იქნება წარმოდგენილი, კანონი პარტიისთვის დაფინანსებაზე 30%-ის ოდენობით დანამატს ითვალისწინებს[20]." ამ საკანონმდებლო ცვლილებას ხელშესახები შედეგი არ მოუტანია. 2016 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმაც აჩვენა, რომ დიდ პოლიტიკურ პარტიებს ამ კანონით არ უსარგებლიათ: "ფინანსური წახალისებით რაიმე ხელშესახები შედეგები არ დამდგარა და სავალდებულო კვოტების მიღება რჩება პოლიტიკაში ქალების დაბალი წარმომადგენლობის პრობლემიდან რეალურ გამოსავლად[21]."

დასკვნა

კვლევები და გამოცდილება აჩვენებს, რომ ქალთა ჩართულობის გაზრდისათვის, მნიშვნელოვანია ქალთა რაოდენობის გაზრდა საკანონმდებლო, აღმსარულებელ, სასამართლო თუ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებსა და პოლიტიკურ პარტიებში. „გაეროს 1325-ე რეზოლუციის მიხედვით, ეს კრიტიკული რაოდენობა არის 30%, რომელსაც მინიმუმ უნდა წარმოადგენდნენ ქალები პარლამენტში, რათა შეძლონ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა პარლამენტზე[22]".

ქალების მონაწილეობის მთავარი დაბრკოლებები კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული. გენდერულად გაანალიზებული სტატისტიკური მონაცემები სწორედ ამ ფაქტორებით აიხსნება.

კულტურული ფაქტორები გაჯერებულია ტრადიციულ საზოგადოებაში ოჯახის და ქალის როლის მიმართ არსებული მოლოდინით, სადაც ქალის მთავარი ფუნქცია-მოვალეობაა ოჯახზე ზრუნვა და საშინაო შრომა. 2019 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 34% ეთანხმება მოსაზრებას, რომ "ოჯახზე ზრუნვას ქალისთვის ისეთივე კმაყოფილება მოაქვს, როგორიც სამსახურის ქონას[23]." საშინო შრომის გადანაწილებით უკმაყოფილოა გამოკითხულთა 82%[24] (60% უკმაყო-

19 ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება – პირველი წლის შეფასება; თანასწორი მოპყრობა; ბაბუცა პატარაია კავშირი „საფარი"; 2015; გვ. 98;

20 გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap) ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები. საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება; მაია კუპრავა-შარვაშიძე; 2015; გვ.13

21 პატარაია, 2015, გვ.6, "პოლიტიკა ქალების გარეშე – კვოტები, როგორც გამოსავალი; პოლიტიკის დოკუმენტი.

22 ქალები ქართულ პოლიტიკაში; საია; 2017.

23 კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; https://caucasusbarometer.org/ge/gs2018ge/ATTWOSA/

24 იგივე; https://caucasusbarometer.org/ge/gs2018ge/SATLADIS/

ფილო, 22% ძალიან უკმაყოფილო). გარდა ამისა, ქალს ადრეულ ასაკშივე უწევს ოჯახსა და განათლებას შორის იძულებითი არჩევანის გაკეთება. ხოლო, განათლებამიღებული ან დასაქმებული ქალებისთვის გამოწვევას წარმოადგენს დაბალი ანაზღაურება და დაბალი პოზიციები. ივივე პრონციპი ვრცელდება პოლიტიკაში მონაწილე ან პარტიის წევრ ქალებზე. გამონაკლისს წარმოადგენენ ფინანსურად შეძლებული ქალები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი თავის დაფინანსება საარჩევნო პროცესის დროსა თუ არჩევნების შემდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის თანახმად, დღეს, ოჯახის მარჩენალი ქალია (34%), ხოლო ქალების დამოუკიდებლობისთვის საუკეთესო გზად სამსახურის ქონა მიიჩნევა (34% სრულიად ეთანხმება,29% ნაწილობრივ ეთანხმება[25]), გადაწყვეტილების მიმღებად, როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაინც კაცი სახელდება. ამგვარი აღქმა კი კაცისა და ქალის ტრადიციული ბუნების აღქმას უკავშირდება, რომლის მიხედვითაც ქალი სუსტი და მორჩილი, ხოლო კაცი ძლიერი სქესია.

კულტურულ ფაქტორებს გააჩნიათ ეკონომიკური განზომილება, სადაც ქალთა სიღარიბე, ჯანდაცვისა და განათლების პრობლემები, ასევე ქონებისა თუ კერძო საკუთრების ფლობა განპირობებულია ტრადიციული, რელიგიური და კულტურული მახასიათებლებით. ასეთ გარემოში ქალს ნაკლები რესურსი აქვს საკუთარი თავის განვითარებისა თუ სახლს გარეთ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასართავად.

გარდა კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებისა, არსებობს სოციალური მახასიათებელი, რომელიც საზოგადოებრივ განწყობებში ვლინდება. ამ ტიპის განწყობები ქალის მიმართ მკაცრი მოლოდინებითა და შეფასების სისტემით გამოირჩევა. ქალის გარეგნობა, მისი საოჯახო საქმიანობა და ოჯახში შესრულებული საქმე არის ის, რაც პოლიტიკოსისა თუ არაპოლიტიკოსი ქალის შესაფასებლად გამოიყენება.

კვლევები და ანგარიშები ასევე ასახელებენ სხვა ფაქტორებსაც, როგორიც არის, მაგალითად ქალების თვითაღქმა და ფსიქლოგიური ფაქტორები, მედიის მიერ ქალების რეპრეზენტაცია და პოლიტიკოსი თუ ბიზნესმენი ან მეოჯახე ქალის ხატის დასახვა.

ამგვარად, ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა მრავალი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით არის განსაზღვრული. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ, ყველა ამ და სხვა ფაქტორთან გასამკლავებლად მხოლოდ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროცესში ფინანსური წახალისება ან ნებაყოფლობითი კვოტირების სისტემა არ კმარა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მართვის რგოლში ქალ მოსამართლეთა დაბალი წარმომადგენლობის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა; ევროპის საბჭო; 2019; https://rm.coe.int/-/1680986180?fbclid=IwAR1ikBGZusyA6yEvUN_MaTmewED3IcF7E0uhm5JI_wcn016kVgXVFX74yM0
2. ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულოებში ქალ დეპუტატთა წარმომადგენლობა და გენდერული ბალანსი საქართველოში; ISFED; 2014; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75726.pdf
3. ქალი და მამაკაცი საქართველოში, სტატისტიკური პუბლიკაცია; 2018; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; https://www.geostat.ge/media/23369/WM_ge-2018.pdf
4. კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ CEDAW-ის აღსრულების კვლევა საქართელოში, საბოლოო ანგარიში, ნაწილი მეორე, თავი მეოთხე, ლალი ხომერიკი – ქალთა მონაწილეობა Nსაქართველოს პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებასა და საერთაშორისო წარმომადგენლობებში; 2011; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75725.pdf

25 იგივე; https://caucasusbarometer.org/ge/gs2018ge/ATTJOIND/

5. ქალები ქართულ პოლიტიკაში; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაცია (საია); 2017; https://bit.ly/2UdUUTF
6. გენდერული პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, ვიშეგრადის ჯგუფის ქვეყნების (V4) გამოცდილება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისათვის (Eap) ევროინტეგრაციის გზაზე გენდერული თანასწორობისაკენ მიმართული პოლიტიკა და საერთაშორისო ვალდებულებები. საქართველოს და ვიშეგრადის ქვეყნების გამოცდილება;მაია კუპრავა-შარვაშიძე; 2015; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75722.pdf
7. 2014 წლის ოქტომბრის, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები თემაზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა საქართველოში; NDI; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75656.pdf
8. პოლიტიკა ქალების გარეშე – კვოტები, როგორც გამოსავალი; პოლიტიკის დოკუმენტი; პატარაია, 2015; https://osgf.ge/files/2015/Publication/EU-Geirgia%20Association%20/Angarishi_A4_3_GEO.pdf
9. ასოცირების დღის წესრიგის პოლიტიკური ნაწილის შესრულება – პირველი წლის შეფასება; თანასწორი მოპყრობა; ბაბუცა პატარაია კავშირი „საფარი"; 2015; გვ. 98; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75720.pdf
10. კავკასიის ბარომეტრი CRRC-ის მიერ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულებების შესახებ ჩატარებული შინამეურნეობების ყოველწლიური კვლევა; https://caucasusbarometer.org/ge/datasets/
11. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები; საქართველოს სახალხო დამცველი; 2013; http://www.parliament.ge/uploads/other/75/75673.pdf